# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 18 ნოემბერი 2004 №269 (2290) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 110%



# პროგქირესული ვარიანტი

## წვრილი განწყდა, საქართველო არ გატყდა

კობა ინასარიძე

სათქმელს აქვე ვიტყვი და, ვფიქრობ, ბევრი მოდავეც არ გამომიჩნდება — ისე, როგორც გუშინ, საქართველოს ნაკრებს თავის 14-წლიან ისტორიაში არ უთამაშია. გვახსოვს მატჩები რუსეთთან, იტალიასთან, ბულგარეთთან, უელსთან, მაგრამ ასეთი გამართული, ასეთი ორგანიზებული და დისციპლინიანი საქართველოს ნაკრები არ გვახსოვს...

ჯერ არ გვახსოვს ჩვენი გუნდის საშინაო მატჩის წინ ისეთი სანახაობა, როგორიც გუშინ იყო — დროშები, ბუშტები, „ქართული ხმების" ცოცხლად შესრულებული ჰიმნი — ისეთი ვითარება, სავსე „ლოკომოტივი" მაგარი თამაშის მოლოდინში მაგრად რომ დაიმუხტა. თუმცა, ყველაფერს ხომ შესრულება უნდა, მაგალითად, ისე, როგორც დანიელთა კაპიტანმა შეასრულა პირველი გოლი...

...საკვირველი იყო, ალენ ჟირესმა სასტარტო შემადგენლობაში შოთა არველაძის ადგილი ვერ ნახა და ამით კოლეგას გარკვეული სიურპრიზი შესთავაზა. ტანმაღალ დანიელ მცველებთან საჭიდაოდ ჟირესმა იაშვილ-დემეტრაძის ტანმორჩილი წყვილი ამჯობინა და, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ათიანში გაარტყა. იაშვილის თამაში მორტენ ოლსენისთვის მეტ-ნაკლებად მოსალოდნელი თუ იყო, აშკარად ჩანდა, სხარტი დემეტრაძის ძირითადში გამოჩენას მისი გუნდი მოუმზადებელი შეხვდა. სამაგიეროდ, ეტყობოდა, ოლსენს კარგად ჰქონდა გაშიფრული ჩვენი გუნდის მარჯვენა ფლანგი და შეტევაც იქიდან ააწყო. თამაშიც სწორედ დანიელთა მარცხენა და ქართველთა მარჯვენა ფლანგზე ხშირ-ხშირი ჩხვლეტებით დაიწყო და სულ მალე დევაძის კარში გოლით დასრულდა. სრულიად უვნებელ ვითარებაში ჩვენებმა ბურთი ცენტრის ხაზთან დაკარგეს, რიკოშეტით იგი ტომასონმა მიიღო და ისე დიდებულად ითამაშა, ხალხი გაოცებისგან პირღია დარჩა — ტანის ერთი მოძრაობით საჯარიმოში ორი მცველი ჩამოიშორა და ბურთი დევაძეს შორეულ კუთხეში აუჭრა. ეს ამბავი მე-9 წუთზე მოხდა და რომ ველოდით, ქართველები ყურებს ჩამოყრიანო, სრულიად საპირისპირო ვნახეთ — უფრო მეტად მომართული საქართველოს ნაკრები.

ტომასონის გოლამდე მასპინძლები ორჯერ მსუბუქად დაემუქრნენ სტუმრებს, გოლის შემდეგ კი შეტევები გაამწვავეს და დანიელებს თავდაცვა გაურთულეს. ჯერ იყო, ასათიანის პასს იაშვილმა დაუხვედრა გარე ტერფი და ბურთი კარს ოდნავ ასცდა, მერე კი დემეტრაძემ ჩამოიშორა კროლდრუპი და დასარტყმელად წამი დააკლდა. ამ დროისთვის თამაში უკვე ჩვენებისა იყო, გოლი ახლოვდებოდა. ახლოვდებოდა და ვნახეთ კიდეც: ასათიანმა ბურთი ცენტრის ხაზთან მიიღო, თითქოს იქვე დაკარგაო, მაგრამ პოულსენს მუხლით აჯობა, ტანი ჩაუდგა და გზა განაგრძო. საჯარიმოსთან იაშვილს კედელი გაუთამაშა. დაბრუნებული ბურთი ფლანგზე გაჭრილ კობიაშვილს დაუგორა, ვისი პასიც კარის სიახლოვეს დადარაჯებული დემეტრაძის თავურისთვის უზუსტესი გამოდგა. დემეტრაძის დარტყმულს სორენსენი კარში კი შეჰყვა, მაგრამ ამაოდ, ჩვენებმა გაათანაბრეს.

შესვენებამდე კი მაინცდამაინც ალსანიშნი სხვა არაფერი მომხდარა. თუმც დემეტრაძემ მარჯვენა ფლანგი დატოვა და საპირისპირო მხარეს გადაინაცვლა. ამით კი დანიელთა მარცხენა ჰავბეკ ნიკლას იენსენს შეტევისთვის ხელ-ფეხი უფრო გაეხსნა. იქამდე ხომ შეტევასთან ერთად იენსენს დემეტრაძის პრობლემაც ჰქონდა.

შესვენების შემდეგ მეტოქეები გამწვავებას ერიდებოდნენ, თუმც სტუმრები ბურთს უფრო სწრაფად ათამაშებდნენ. ამით კი ჩვენების შუა და უკანა ხაზებში სივრცეებს ქმნიდნენ და ხიფათის შექმნაც მეტი შეეძლოთ. მაგრამ მასპინძელთა დაცვა — კალაძე, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი — დაზღვევაზე საიმედოდ თამაშობდა და დევაძეს ბურთს არიდებდა. იყო პერიოდიც, როცა დანიელები საკმაოდ გათამამდნენ, ეგებ რისკავდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენებს გამწვავება აღარ უცდიათ და შეტევას უფრო მშვიდად იწყებდნენ. იყო შანსი, ქართველებს შეტევაში რიცხობრივი უპირატესობა გამოეყენებინათ, მაგრამ სტუმართაგან განსხვავებით, ველარ გარისკეს. ასეთი, პოზიციური თამაში 65-ე წუთამდე გაგრძელდა და ისევ ტომასონი. საჯარიმოს ხაზთან დანიელთა კაპიტანმა, ვინც 69-ე სანაკრებო მატჩში 35-ე გოლი გაიტანა, დასარტყმელად წამი იკმარა, მარჯვენა მოიქნია და დევაძეს დაბალ კუთხეში გაუტანა. ბურთი სველმა გაზონმა ტყვიასავით აისხლიტა და მეკარე ველარ მისწვდა.

ბევრს, იქნებ ყველას, თამაშის საჩვენოდ შემოტრიალება წარმოუდგენელი ეგონა. მით უმეტეს, ჟირესი შეცვლების გაკეთებას არ აპირებდა, დანიელები კი უფრო თავდაჯერებულები ჩანდნენ.

მერე ჟირესმა კვირკველიასა და არველაძეს ერთად უხმო. დაუძახა, მაგრამ რად გინდა, ორივე ფეხბურთელი ორი-სამი წუთი პირით ხაზთან უქმად იდგა და თამაშის შეჩერებას ელოდა. თამაში კი დანიას მიჰყავდა და ჩვენებმა ბურთი ვერა და ვერ აართვეს. ქართველების ასეთი უსუსურობის შემყურე, სიზმარში უნდა ყოფილიყავი, გეთქვა, საქართველო ამ თამაშს არ წააგებსო, მაგრამ...

აბა, როგორ არ ვთქვათ, მალხაზ ასათიანი ქართველი ვარსკვლავია, დიდი ფეხბურთელიაო... გავიხსენოთ რუსებთან მოგებული თამაში, გავიხსენოთ თურქეთში მისი თავური, მოვყვეთ გუშინდელი გოლი და, მოდით, ამ 23 წლის ბიჭს კაცურად დიდი მადლობა ვუთხრათ. მადლობა დიდებული ფეხბურთისთვის, მადლობა ვაჟკაცობისთვის...

75-ე წუთი მიმდინარეობდა და საქართველოს ნაკრები გონს არ იყო, როცა ასათიანმა ბურთი დანიელთა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო. ჯერ ლუსტუ ჩამოიშორა, მერე კროლდრუპიც მის გზას გაუყენა, სორენსენისკენ გახედვაც მოასწრო და ცაციათი მისი კარის ცხრიანს დაუმიზნა. სტადიონი წამით გაირინდა. გოლი? არა, ეს დაუჯერებელია, მაგრამ... ნაღდია, გოლია! ასათიანმა კიდევ ერთი ოქროს გოლი გვაჩუქა. 25 ათასმა ქომაგმა მერე ერთიანად იხუვლა და უკვე დანიაა შოკში. რამდენიმე წუთიც და სტადიონი კინაღამ დაინგრა. არველაძე და დემეტრაძე სორენსენის კარის ხაზიდან ორიოდ მეტრში უმეთვალყურეოდ დარჩნენ, კობიაშვილის დაბალი ჩაწოდებული მიიღეს, ბურთისთვის ფეხის შეგებებაა საჭირო, მაგრამ ეს არც ერთს გამოუვიდა, არც მეორეს. რაღაც სასწაულებრივად გადარჩნენ სკანდინაველები. კიდევ წუთიც და ისევ ასათიანი და ისევ ოხვრა ტრიბუნაზე. მალხაზი კარს გვერდიდან მიუახლოვდა, მის წინ მხოლოდ მეკარეა. ასათიანმა პასი შორეული კუთხისკენ — არველაძისკენ — მოიწადინა, ბურთი თითქოს მეკარესაც გადაევლო და შოთა თავურისთვის მოემზადა, თუმც ბოლოს მაინც სორენსენმა იყოჩაღა.

მერე უკვე დანიაც მოფერიანდა, ოლსენმა ტომასონს ერთბაშად ორი თავდამსხმელი, სკოუბო და ლოვენკრანდსი დაახმარა და ქართველებს შერჩენილი ძალით შეუტია. ცოტაც ვინერვიულეთ, მაგრამ ჩვენები დადგნენ, მაგრად დადგნენ და დანიას ცოცხალი თავით სამი ქულა არ გაატანეს... თუმცა რომელ დანიურ სამ ქულას ვამბობთ, როცა აქეთ ვართ გულდაწყვეტილნი და ვფიქრობთ, რომ მოგებას ჩვენები უფრო იმსახურებდნენ.

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

თბილისი. 17 ნოემბერი. 21 საათი. ლოკომოტივი. 25 000 (ტევადობა 25 600)

### საქართველო 2:2 დანია

0:1 ტომასონი (10), 1:1 დემეტრაძე (35), 1:2 ტომასონი (65), 2:2 ასათიანი (76)

1 დევაძე

მწვრთნელი ალენ ჟირესი

13 ხიზანიშვილი, 3 ხიზანეიშვილი, 4 კალაძე

18 ჯიქია, 7 ცქიტიშვილი

2 მჟავანაძე, 17 ქობიაშვილი

16 ასათიანი

10 დემეტრაძე, 9 იაშვილი

9 ტომასონი

11 პერესი, 10 იორგენსენი

8 დ. იენსენი

7 გრავესენი, 2 პოულსენი

5 ნ. იენსენი, 4 კროლდრუპი, 6 ლუსტუ, 3 პრისკე

მწვრთნელი მორტენ ოლსენი

1 სორენსენი

შეცვლა: პერესი – 17. რომედალი (46), იაშვილი – 11. არველაძე (73), ჯიქია – 5. კვირკველია (73), იორგენსენი – 15. ლოვენკრანდსი (89), დ. იენსენი – 18. სკოუბო (89)

გაფრთხილება: გრავესენი (38), ლუსტუ (51)

მსაჯები: დარკო ჩეფერინი; ანდრეი კოკოლი, იგორ ზუპანჩიჩი; დრაგო კოში (ყველა სლოვენია)

ფიფას დელეგატი: პეკა ჰამალაინენი (ფინეთი)

ფიფას ინსპექტორი: ვაცლავ კრონდლი (ჩეხეთი)



გიორგი დემეტრაძე საგოლედ გაფრინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესკონფერენცია



*მორტენ ოლსენი:* ვფიქრობ, ძალიან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ ვითამაშეთ. საქართველო ისეთივე დონისაა, როგორიც ალბანეთი.

...საქართველოს ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა და ბრწყინვალე სპექტაკლი დადგა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. თქვენიანთაგან დემეტრაძეს და ასათიანს გამოვარჩევ. ძლიერი ფეხბურთელები არიან.

...შოთა ძირითადში რომ არ ითამაშებდა, არ გამკვირვებია. რატომ? ერთი კვირის წინ ველაპარაკე და გავაფრთხილე, მთელ 90 წუთს თუ ითამაშებ, მოგკლავ-მეთქი. შოთა ბრწყინვალე ფეხბურთელია და სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, როცა „აიაქსში“ ჩემი შეგირდი იყო. ვიცოდი, რომ დღეს მცირე ტრავმა აწუხებდა და როცა დემეტრაძემ ასე კარგად ითამაშა, ვიფიქრე, ნეტავ, ეს შოთა იყოს-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.



*ალენ ჟირესი:* შედეგი უმთავრესია და არა მგონია, დღევანდელი ფრე გულდასაწყვეტი იყოს, მით უმეტეს, დანიასთან.

... საერთო ჯამში კარგად ვითამაშეთ, კმაყოფილი ვარ. ნელ-ნელა ძალას ვიკრებთ და გუნდს ვემსგავსებით. ასევე უნდა გავაგრძელოთ.

...გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვთქვი, ასათიანის ადგილი შეტევაშია-მეთქი და რატომღაც ზოგმა ჟურნალისტმა შემომიტია, ის ხომ რუსეთის საუკეთესო მცველიაო. ვფიქრობ, ასათიანის ნამდვილი ამპლუა გამთამაშებელია და მისი კლუბი ბევრს კარგავს, ამას რომ არ იყენებს.

...ჩვენი მარჯვენა ფლანგი სუსტია?! მაშინ ისიც გაითვალისწინეთ, რომ დანიელებს ჰყავთ ძალიან ძლიერი მარცხენაფლანგელები. პირველ ტაიმში მარჯვნივ მართლა გვიჭირდა, მაგრამ მერე გამოვასწორეთ.

...ჯიქიამ ჩემ ხელში პირველად და, მგონი, ნორმალურად ითამაშა. შეიძლება, შეცვლა ცოტა დავაგვიანე, მაგრამ... ამის გამო ბევრი არ დაგვიკარგავს.

...არველაძის არდაყენება ჩემი პირადი აზრი იყო. იაშვილი და დემეტრაძე უფრო სწრაფი თავდამსხმელები არიან და მათი თამაში ჯობდა.

*ზურაბ ხიზანიშვილი:* ნამდვილად დასანანია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა — მოგება შეგვეძლო. თუმც იმას ვერ ვიტყოდი, რომ თავისუფლად შეგვეძლო დანიის დამარცხება — რთული თამაში იყო. მაგრამ შედეგით მართლაც უკმაყოფილო ვარ.

**— გაშვებულ გოლებზე რას იტყოდი?**

— ოდნავ მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, გოლებს ალბათ არ გავუშვებდით. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება — პირველი გოლი ისეთი გაგვიტანეს, რომ რა ვიცი...

**— ტრავმირებულმა ითამაშე — ტკივილი ძალიან გაწუხებდა თამაშისას?**

— ფეხი მაწუხებდა კი არა, ახლაც ხორცის საკეპ მანქანაშია გატარებული.

*თომას სორენსენი:* როცა მეორე გოლი გაგვიტანეს, ქართველები უფრო შმაგად ათამაშდნენ, ისინი მაგრად მუშაობდნენ.

**— ალბათ იცით, რომ დამთავრდა მატჩი თურქეთში და რა ხდება საბერძნეთში — ჯგუფში გასასვლელად გუნდების შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— ეს, ასე ვთქვათ, ღია ჯგუფია — იმ გუნდებს, რომლებსაც სხვაზე ნაკლები ქულები აქვთ ამ დროისთვის, არავისზე ნაკლები შანსი არ აქვთ. ჩვენც ისევ კარგი შანსი გვაქვს ჯგუფიდან გასასვლელად.

**— საქართველოსთან ფრით კმაყოფილი ხართ?**

— ჩვენ მოგებაც შეგვეძლო და წაგებაც. მატჩის ბოლოს მეტოქეს დიდებული შანსი ჰქონდა. იძულებული ვართ, რომ ერთი ქულით კმაყოფილები ვიყოთ.

*კახა კალაძე:* რთული და დაძაბული თამაში იყო, მაგრამ ამით სანახაობრივ მხარეს არაფერი მოჰკლებია. ორჯერ ვაგებდით და ორჯერვე გავათანაბრეთ, ყველამ მაქსიმუმი გაიღო, ჯიგარი ჩავაქსოვეთ და ბოლოს ნახეთ, რომ მოგებაც შეგვეძლო.

**— ესე იგი, თამაშით კმაყოფილი ხარ. შედეგზე რას იტყვი?**

— დანია რომ სერიოზულ ძალად ითვლება ევროპაში, ამას ლაპარაკიც არ უნდა. გრანდს ვერ დავარქმევ, მაგრამ ტაქტიკურად და ტექნიკურადაც ყოველმხრივ დალაგებული გუნდია, თერთმეტივე ფეხბურთელი იბრძვის. რა ვიცი, ფრე ცუდი შედეგი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, წინ კიდევ ბევრი თამაშია.

**— არადა, სამ ქულასთან ახლოს ვიყავით...**

— რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია. ბოლო წუთებზე დემეტრაძე-არველაძე ერთმანეთს რომ არ დაეჯახებოდნენ... პირველი გოლიც ისეთი გავუშვით, ტირილი მომინდა. მაინც კმაყოფილი ვარ, ნაკრებს პროგრესი ეტყობა.

**— უკრაინამ თურქეთში მოიგო...**

— კი, მოიგეს, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინაა. უკრაინა აქაც ჩამოსასვლელია...

*დავით კვირკველია:* კარგი საყურებელი თამაში იყო. მგონი, გულშემატკივრები კმაყოფილები დარჩნენ. მოგებაც შეიძლებოდა.

**— ცოტა დაძაბული კი თამაშობდი...**

— თვითონ თამაში იყო დაძაბული. თანაც, შეცვლაზე რომ შედიხარ, სამი-ოთხი წუთი გჭირდება გასახურებლად. მერე ნელ-ნელა მოვუმატე, მაგრამ მომენტებში ისე ვერ ვითამაშე, როგორც საჭირო იყო.

**— შეტევებში თითქოს ნაკლებად ერთვებოდი. ეს ჟირესის დავალება იყო?**

— არა, როგორც სცენარი მოითხოვდა. კი, უფრო დაცვა დამევალა, რადგან 3-5-2-ს ვთამაშობდით. ამ დროს უკნიდან თამაში ჯობია.

**— კმაყოფილი ჩანხარ...**

— თან კი, თან არა. ხომ ნახეთ, მოგებაც შეგვეძლო.

*ალექსანდრე იაშვილი:* გული დამწყდა, რომ ვერ მოვიგეთ, დანიელებს არაფერი დავუთმეთ და უფრო მეტი მომენტიც გვქონდა, მაგრამ რას იზამ, ფრეც არ არის ურიგო შედეგი. თანაც, ასეთი დონის გუნდთან ორჯერ რომ გაათანაბრებ...

# ნამატჩევი!



ვერგაჩერებული იონ დალ ტომასონი და პირველი გოლი ქართველთა კარში

# 7-ლარიანი შთაბეჭდილებები

## გულშემატკივრის მოგზაურობა სტადიონისაკენ და უკან

აშკარად გამიმართლა, საქართველოს ნაკრების წინა მატჩისგან განსხვავებით, სადანიოდ „ლოკომოტივის“ სალაროები გამართულად მუშაობდა და უიაფესი, 7-ლარიანი ბილეთიც თავაზიანად მომყიდეს. ეს გუშინწინ იყო.

გუშინ უფრო გამიმართლა, სტადიონის მთავარი ალაყაფი ისე გავიარე, ჭყლეტვაში არ მოვყოლილვარ. მერე ჰამბურგერი შევიძინე და კმაყოფილი დავრჩი — გუმანმა არ მიმტყუნა და ჰამბურგერი ისეთი უგემური გამოდგა, როგორსაც ველოდი. თუმცა ეს ჩემი ჰამბურგერი უფრო უგემური მაშინ გახდა, თვალი რომ მოვკარი, მე-6 და მე-7 სექტორებს შორის ვიღაც ჯეელი ჩანჩქეროს რომ მღეროდა.

ამის მერე ხომ სულ მთლად გამიმართლა — ბილეთების შემმოწმებელი მოლარეზე თავაზიანი კაცი გამოდგა.

მაგრამ უგემურ ჰამბურგერს თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი მეტისმეტად კარგად მიდიოდა საიმისოდ, კარგადვე რომ დამთავრებულიყო.

ტრიბუნაზე ასულს პირველი, რაც არ მეამა, სველი სკამები იყო, ოღონდ ამას ბუნების ჭირვეულობის გარდა ვერაფერს დავაბრალებ. მაგრამ ისიცაა, რომ ბევრ გულშემატკივარს შესასვლელში დარიგებული დროშა-ჰიმნები უკანალს ქვეშ ამოედო და ამგვარად ცდილობდა საჯდომი მშრალად შეენახა. რატომღაც მგონია, რომ არ არის სწორი. მეორე მხრივ კი, ხალხი შემომეკრიბა გარშემო ძალიან კარგი: უბილეთო წალკელი კაცი, რომელიც დაცვას შეხვეწებია, გუშინ 3:1 დამესიზმრა და რომ არ შემიშვათ, არ იქნებაო. ცოტა ქვემოთ თავზე საქართველოს დროშაწაკრული საყურიანი ზანგი იჯდა, უკან კი „ბაიერნის“ ქუდიანი მედოლე მედგა, მთელი თამაში ალალად რომ უბრახუნებდა დოლს ჯოხებს და ჩვენი სექტორის მანოლოობას ჯიგრიანად სწევდა.

თამაშამდე კიდევ ბლომად დრო იყო დარჩენილი და სიმღერების მოსმენით შევიქციე თავი. თან ეკლებზე ვიჯექი — აი, ახლა ჩართავენ სამარცხვინო ვითომ საფეხბურთო ჰიმნს, აი, ახლა-მეთქი. მადლობა ღმერთს, არ ჩართეს.

ჰო, კიდევ რა მინდოდა მეთქვა, პროჟექტორების შუქზე თამაშს თავისი მუღამი აქვს, უფრო ეფექტურია, ვიდრე დღისით თამაში.

და რა ვერ გამიგია, იცით, ვერაფრით? რა საჭიროა შემადგენლობების გამოცხადება თუ ისე ხმადაბლა ისმის, რომ ვერავის ესმის? დანიის ჰიმნიც როდის დაიწყო და დამთავრდა, ვერ გავიგე, ფეხბურთელები რომ გაიჭიმნენ, კი მივხვდი, რაც ხდებოდა და ინტუიციით ავდექი ფეხზე. ისიც შემიძლია დავიფიცო, რომ ორი ყმაწვილი მოედნის ცენტრში რაღაცებს რომ იძახდა, იქიდან ერთი სიტყვაც ვერ გავიგე.

მერე დაიწყო თამაში. ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა, ისე დაიწყო. მაგრამ რად გინდა, ათ წუთში გაგვიტანეს.

აქედან მოყოლებული, მთელი ტაიმნახევარი, ჩემ გვერდით მჯდომი შუახნის კაცი გაუთავებლად იძახდა, აუ, რა სლაბები არიან მჟავანაძე და ჯიქიაო.

თქვა ერთხელ, მეორედ, მეათედ. რომ აღარ გაჩერდა, სხვებსაც აეშალათ ამავე თემაზე ლაპარაკის სალაღლელი და — ვინც ჟირესს ახარა, მახაჩყალაში და პლოცკში მაგარი ფეხბურთელები აღმოაჩინეო, მთლად კეთილსინდისიერად ვერ მოქცეულაო.

აქ შევეცადე ტრიბუნაზე გაგონილი კულტურულად გადმომეცა, თორემ ჩემი უცენზურო სიტყვების მარაგი გვარიანად შევავსე.

მერე გავიტანეთ და გავიხარეთ. მაგრამ ერთ რამეს მივაქციე ყურადღება — სანამ ვაგებდით, გულშემატკივრებს ყურები არც მაშინ ჩამოუყრიათ. ეს კი სიახლეა ქართულ საგულშემატკივრო პრაქტიკაში. ალბათ იმიტომ იყო ასე, რომ ჩვენები გაშვებულმა გოლმა ვერ გატეხა და ესეც ბოლოდროინდელი სიახლეა.

შესვენება.

შესვენებისას რა უნდა აკეთოს კაცმა, სათადარიგოების მოთელვას მივადევნე თვალი და რას ვხედავ — ვიღაც ბავშვი მოედანზე შეპარულა და ჩვენს ფეხბურთელებს ვარჯიშში ხელს უშლის. ფეხბურთელმა კარში რომ უნდა დაარტყას, მივარდება და, მე დამარტყმევინეო.

ერთი უბედურებაა, რომ მოედანს დამცავი მესერი თურმე ტყუილად ჰქონია. მეორე უბედურებაა, რომ დაცვა თურმე ტყუილად დგას და მესამე უბედურებაა, რომ ამდენი ხალხი უყურებს, როგორ უშლის ვიღაც ბავშვი ფეხბურთელებს მოთელვას და კაციშვილს აზრად არ მოსდის, ყურში წაავლოს ხელი და გამოიყვანოს. შესვენება რომ დამთავრდა და გუნდები მოედანზე გავიდნენ, ის ბავშვი მხოლოდ ამის მერე გაიყვანეს.

დაიწყო მეორე ტაიმი და ისევ ავხმაურდით. ჩვენები კარგად თამაშობენ. და ისევ რად გინდა — მეორე გაგვიტანეს. ამ დროს რა მოხდა — თუ პირველი გაშვებული გოლის მერე ხალხს ქომაგობა არ შეუწყვეტია, უცბად ტრიბუნები დადუმდა. დემეტრაძის გოლიდან მეორე გაშვებულამდე ყველანი მოგებაში იმდენად ვიყავით დარწმუნებულები, რომ შოკისმომგვრელი გოლი იყო.

ჩვენები ბრინჯივით დაიბნენ.

სტვენა.

კიდევ სტვენა.

უფრო ძლიერი სტვენა.

და მალხაზ ასათიანი!!!

**კოტე კეკელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვალსაწიერის საკითხი

**საქმის კეთებას მხოლოდ მონდომება არ შველის, საქმის კეთებას ცოდნაც უნდა — აი, რა მარტივი და რა მიუწვდომელია ყველაფერი, რითაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ერთხელაც გვატკინა გული დანიასთან წაგებული 2:4-ით**

ქართველ 21-წლამდელებს გოჩა ტყებუჩავა წვრთნის, ვინც 2000-01 წლებში წარმოაჩინა თავი, როგორც იმ დროისთვის არაორდინალურმა მწვრთნელმა. 2001 წლის გაზაფხულზე ის თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი იყო. მაშინ, სეზონის მეორე ეტაპისთვის „დინამო" ერთბაშად თოთხმეტმა (!) ფეხბურთელმა დატოვა და ტყებუჩავამ რამდენიმე შემორჩენილ და დამატებულ ფეხბურთელებთან ერთად ერთობ ნორმალურ შედეგს მიაღწია — „დინამო" მესამე ადგილზე გავიდა, დამატებული ფეხბურთელები კი ახალგაზრდები იყვნენ — მაშინ მიიღო ტყებუჩავამ ახალგაზრდებთან მუშაობის პირველი გამოცდილებაც. მანამდე კი მას არანაირი სამწვრთნელო პრაქტიკა არ გააჩნდა.

წინა შესარჩევი ციკლის შუა პერიოდიდან ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელი გამოუცვალეს — გუნდი რევაზ არველაძემ ჩაიბარა, რომლის თანაშემწე სწორედ ტყებუჩავა იყო.

ასეთ ცოდნით და გამოცდილებით შეუდგა ამ შესარჩევ ციკლში ტყებუჩავა საქმეს, მაგრამ არის კი ეს საკმარისი ახალგაზრდული ნაკრების გასაძლოლად?

ტყებუჩავას დინამოსდროინდელი არაორდინალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფეხბურთელებთან ძალიან უშუალო და ამავე დროს მკაცრი დამოკიდებულება დაამყარა. ვარჯიშზე არასათანადო ქცევისთვის ის გამოცდილ ფეხბურთელსაც აძევებდა ვარჯიშიდან და აჯარიმებდა. მაგრამ ტყებუჩავა ფეხბურთელებში პატივისცემით სარგებლობდა, ტყებუჩავა შეგირდებს ბრძოლას ასწავლიდა, მისმა გაწვრთნილმა გუნდმა რამდენიმე ისეთ თამაში ამოქაჩა, როცა 0:2-ს აგებდა.

მაგრამ ერთ ადგილზე გაჩერებაც არ შეიძლება. ტყებუჩავას სამწვრთნელო საქმის შესასწავლად უცხოეთში უნდა წასვლა, თუმც ეს ვერ მოხერხდა. ტყებუჩავა ფეხბურთელობის დროს კონსპექტებს ადგენდა, ნოდარ ახალკაცის და მიხეილ ფომენკოს ხელში მან ბევრი რამ აითვისა და დააკონსპექტა, რაც მის მონდომებასა და უნარზე მეტყველებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ეს სადღეისოდ საკმარისი არ არის.

ერთი მაგალითიც — ახალგაზრდული ნაკრების ბირთვს „თბილისის" ფეხბურთელები წარმოადგენენ, რაც ამ გუნდის უკვე ყოფილი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის დამსახურებაა, ვინც „თბილისში" ბავშვთა ფეხბურთიდან მივიდა და როცა ამ სეზონში „თბილისმა" ევროტურნირზე ითამაშა, გამოჩნდა, რომ მხოლოდ ნიჭი და მონდომება საერთაშორის დონეზე ფაქტობრივად არაფერია. ამიტომაც მიდის დევდარიანი სასწავლებლად გერმანიაში.

მაგრამ არის გია გეგუჩაძეც, რომლის გაწვრთნილმა „დინამომ" აქამდე შეუძლებელი შეძლო — დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველადაა, რომ ქართული გუნდი ევროტურნირს მინუმუმ დეკემბრამდე შემორჩა. ეს შემთხვევით არ მომხდარა — გეგუჩაძე ექვსი წელი დავით ყიფიანის თანაშემწე იყო „დინამოში", მაშინ გუნდი სისტემატიურად გამოდიოდა ევროტურნირებზე და გეგუჩაძეც გამოცდილებას იძენდა. შემდეგ იგი ბოსკამპის თანაშემწე იყო ეროვნულ ნაკრებში და ცოდნა-გამოცდილება ამითაც შეიმატა. გარდა ამისა, უეფას რამდენიმე სემინარიც აქვს მოსმენილი.

ამით მწვრთნელი საერთო, ზოგად თვალსაწიერსაც იფართოვებს, რომლის გარეშე საერთაშორისო დონეზე არაფერი გამოვა.

ზოგადი თვალსაწიერი მწვრთნელს იმაშიც ეხმარება, თუ როგორ უნდა მოიქცეს მასმედიასთან, საჯაროდ რისი თქმა შეიძლება და რისი არა. ჩვენი მწვრთნელების და ჩვენი ფეხბურთის ხინჯთა თავი და თავიც ეს უნდა იყოს — თვალსაწიერია პატარა.

**დავით თავართქილაძე**



[illegible] ფოტო

ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზის" ქართველი თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე თბილისშია. მე-15 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი შვებულებას მშობლიურ ქალაქში ატარებს...

# გოცირიძე თავისი სიტყვის სეზონს ელის



[illegible] ფოტო

— უკვე ხუთი თვეა, „კამაზში" ხარ. „ვიტ ჯორჯიადან" რუსეთის პირველ დივიზიონში გადასვლას გამართლებულად მიიჩნევ?

— კი, ვფიქრობ, ამ ნაბიჯით არაფერი დამიკარგავს.

— ადრე თქვი, ახალი სეზონიდან პრემიერლიგაში გადასვლაზე ვიბრძოლებთო...

— მიზანი ეგ არის და ვნახოთ, შევძლებთ თუ ვერა. ახლა მთავარია, შემადგენლობა გავაძლიეროთ.

— **პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— საწუწუნო არაფერია. საკმაოდ ნორმალური სიტუაციაა.

— **გოლი ბოლო ტურებამდე ვერ გაიტანე და ეს რისი ბრალი იყო?**

— თავიდან მაგრად გამიჭირდა, შესაგუებლადაც დრო მჭირდებოდა. თან თამაშიც ხშირად არ მიწევდა და გოლიც ამიტომ დამიგვიანდა. ბოლოსკენ უკვე ვგრძნობდი, რომ ვუმატებდი.

— **ისე ჩანდა, თითქოს მწვრთნელი ნელ-ნელა გაჩვევდა ძირითადს...**

— ასეც მითხრა, ნახევარი წელი ადაპტაციისთვის დაგჭირდება და არ შეგეშინდესო. ახალ სეზონში კი ჩემი სიტყვა უნდა ვთქვა.

— **რუსეთის პირველი დივიზიონი საქართველოს ჩემპიონატს რაიმეთი სჯობს?**

— იქ უფრო მაღალი ტემპია, ბევრი მოძრაობაა. ვფიქრობ, დონე რუსეთში ოდნავ უფრო მაღალია.

— **გროზნოს „ტერეკი" მართლა ძლიერი გუნდია?**

— კი. პრემიერლიგაში ისე გადავიდა, რომ სალაპარაკო არავისთვის მიუცია. ყველას ერთი თავის სჯობდა.

— **„კამაზს" როდის შეუერთდები?**

— 12 დეკემბერს შეკრება გვეწყება.

— **„კამაზში" გიორგი ადამიას გადაბირებაზე ისევ ფიქრობენ?**

— ჩემთვის არაფერი უთქვამთ. ისე ვიცი, რომ რამდენიმე ფეხბურთელთან აპირებენ მოლაპარაკების დაწყებას და შესაძლოა, მათ შორის ადამიაც იყოს. ზუსტად ვერ გეტყვი.

**ბახა შალამბერიძე**

# ყაველაშვილმა ალანია დაამთავრა

## ისევ ევროპა!



როგორც ჩანს, ვლადიკავკაზის „ალანიას" ორი თვის წინ დაშავებული მიხეილ ყაველაშვილის ბედი სერიოზულად ადარდებს და კლუბთან აწ უკვე კონტრაქტგასრულებული ქართველი ფეხბურთელის შენარჩუნებაზე ფიქრობს.

მოგეხსენებათ, მიხეილ ყაველაშვილი „ალანიაში" გასულ ზაფხულში გადავიდა. იქ თამაშს ჩვენიანი რუსეთის პრემიერლიგის დასრულებამდე აპირებდა, მაგრამ მალევე დაშავდა და სამკურნალო შეიქნა — ყაველაშვილს მუხლის ჯვარედინი იოგები გაუწყდა.

სექტემბერში ტრავმირებული ფეხბურთელი კი ოსებს ახლახან გაახსენდათ. ორიოდ დღის წინ „ალანიას" ექიმმა განაცხადა, საბედნიეროდ, ყაველაშვილი ოპერაციას გადაურჩა და ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშიც განაახლაო. ოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ „ალანიას" საახალსეზონოდ ყაველაშვილის იმედი ისევ აქვს, თუმც თავად ფეხბურთელი სხვას ამბობს.

მიხეილ ყაველაშვილი ამჟამად თბილისშია, როგორც ოსმა ექიმმა თქვა, მართლაც ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს, მაგრამ ვლადიკავკაზელთა სამწუხაროდ, „ალანიაში" დაბრუნებას აღარ აპირებს.

— ჯერჯერობით თბილსში ვარ და სათამაშო ფორმის აღდგენას ინდივიდუალური პროგრამით ვცდილობ. ამჟამად ევროპის ქვეყნებში სატრანსფერო სეზონი დაკეტილია და ჩემი გადაბირების მსურველი რომც იყოს, ახლა ამას ვერ მოახერხებს. მეც იანვრამდე ვივარჯიშებ, ფორმას ავიდგენ და კარიერას რომელიმე ევროპულ გუნდში გავაგრძელებ.

— „ალანიაში" დაბრუნებაზე აღარ ფიქრობ?

— არა, „ალანიასთან" კონტრაქტი დამიმთავრდა, ზამთრის შესვენებაზე ევროპას მივაშურებ და თამაშს იქ გავაგრძელებ. „ალანია" კი ჩემთვის დამთავრებული საქმეა.

**კობა ინასარიძე**

# თბილი მარბელა ცივ ზამთარში

2005 წლის იანვრის ბოლოს ესპანეთში საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა — „მარბელა 2005". ჩვენთვის ეს ამბავი იმდაა საინტერესო, რომ ორგანიზატორებმა ტურნირში სათამაშოდ თბილისის „დინამო" მიიწვიეს და ჩვენებურებმაც თანხმობის პასუხი მისწერეს. მოკლედ, დინამოელები უკვე აქტიურად მუშაობენ მოსამზადებელი ეტაპის დაგეგმვაზე.

აქვე გეტყვით, რომ „მარბელა 2005"-ზე თბილისელთა გარდა მოსკოვის „სპარტაკი", სანკტ პეტერბურგის „ზენიტი" და დონეცკის „შახტარიც" ითამაშებენ.

სადღეისოდ ეს არის და, „დინამოს" სამზადისზე უფრო დაწვრილებით უახლოეს ხანს შეგატყობინებთ.

**ბახა შალამბერიძე**



# სუნესმა რობერი გადააგდო

„ნიუკასლში" კვლავ უთანხმოებაა: ფრანგი ნახევარმცველი ლორან რობერი მენეჯერ გრემ სუნესს სიტყვის გატეხვაში ადანაშაულებს.

ორიოდ დღის წინ, ინგლისურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ 29 წლის ფრანგი მზად იყო „სენტ ჯეიმს პარკი" მიეტოვებინა.

ახლა რობერი აცხადებს, რომ მას იანვარში გაყიდიან: „როცა სუნესი გუნდში მოვიდა, მან მითხრა, რომ გასვლით თამაშებზე არ დამაყენებდა, მაგრამ ყოველ ხაშინაო მატჩში ძირითადში ვიქნებოდი. მერე ეხეც გადაიფიქრა: მიზეზი არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ ჩემთვის ეს ამბავი ცუდია".

**ირაკლი გამყრელიძე**

# გააუშვით მუტუ!
## ჩელსი რუმინელს ინგლისს უკრძალავს

ადრიან მუტუ „ჩელსისთვის" ჩივილს აპირებს.



„ჩელსიმ" ის გუნდიდან მოკვეთა მას შემდეგ, რაც რუმინელი კოკაინზე ჩავარდა. ადრიან მუტუ თითქოს „იუვენტუსმა" დაიბევა, თუმცა ინგლისში სხვანაირად ფიქრობენ: მაისში ის პრემიერლიგის რომელიმე გუნდში გამოჩნდებაო.

„ჩელსიმ" ასოციაციას მოსთხოვა, რომ მუტუს ინგლისური რეგისტრაცია გაუუქმოს, რომელიც მისთვის არავის ჩამოურთმევია, მიუხედავად კოკაინის სკანდალისა.

„ჩელსის" ეშინია, რომ შარშან ლამის 16 მილიონ გირვანქად ნაყიდი მუტუ მუქთად გადავა მის რომელიმე კონკურენტთან.

მუტუს სავარაუდო საჩივარიც ამას თუ შეეხება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გლეიზერი კვლავ გააჩერეს

**გერმანულმა** „დოიჩე ბანკმა" უარი უთხრა ამერიკელ მალკოლმ გლეიზერს კრედიტის მიცემაზე „მანჩესტერ იუნაიტედის" საკონტროლო პაკეტის დასაუფლებლად. მანამდე გლეიზერთან ურთიერთობა გაწყვიტა სხვა ბანკმაც, ამერიკულმა „ჯონ პირპონტ მორგანმა". ბანკს არ მოეწონა გლეიზერის საქციელი, როცა ამ უკანასკნელმა „მანჩესტერის" სამი დირექტორის ხელახლა დამტკიცებას შეუშალა ხელი გასულ პარასკევს. მაშინ გლეიზერმა თავისი 28,1 პროცენტით მინიჭებული ძალაუფლება გამოიყენა და პროცედურას ხელი შეუშალა. ახლა კი „დოიჩე ბანკმაც" უარი თქვა და გლეიზერის შანსები „მანჩესტერის" ძალისძალა პატრონობაზე მთლად დაცოტავდა.

**ირაკლი გამყრელიძე**



„სტემფორდ ბრიჯს" სტილი და სიამაყე დაუბრუნდაო, წერს „ჩელსისადმი" მიძღვნილ წერილში „როიტერის" ჟურნალისტი კლეარ ლაველი და დასძენს, რომ 1970-იან წლების დიდი „ჩელსის" შემდეგ ლონდონის სამხრეთდასავლეთით ყველაზე დასამახსოვრებ[illegible] გულიტის „სექსუალური ფეხბურთი" თუ იყო

# ლონდონელი მონსტრი
## აბრამოვიჩის ფულით, მაურინიუს ტაქტიკით, კინიონის ჯაუით და რობენის ფეხით



ჟოზე მაურინიუ და პიტერ კინიონი



მერედა, თურმე ის კი არ ყოფილა საქმე, რომ მსოფლიოს ლამის ყველა გუნდის გულის გასახეთქად „ჩელსი" არნახული ფულის პატრონმა რომან აბრამოვიჩმა იყიდა, არც ის, რომ გუნდი პრემიერლიგის ცხრილის სათავეშია და მაშინ ცხადია, არც ის, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე უკვე მოიპოვა მეორე ეტაპზე თამაშის უფლება. საქმე თურმე ის ყოფილა, რომ მწვრთნელს, ჟოზე მაურინიუს, ეჭვიც არ ეპარება, რომ ინგლისის ჩემპიონი გახდება.

„დიახ, დღეს უბრალოდ მეტად მწამს, რომ ჩემპიონები გავხდებით და ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ამპარტავანი ვარ ან ვინმეს გაღიზიანება მინდა, არამედ ვგრძნობ, რომ ეს სწორედ ასე იქნება" — ბრძანებს კაცი, ვინც გასულ სეზონში „პორტუ" გახადა ჩემპიონთა თასის მფლობელი, ხოლო ამ სეზონში დაამტკიცა, რომ ინგლისურ ფეხბურთსაც ჩინებულად ულებს ალღოს. ის კი არა, ლამისაა ის თქვას, რომ „ჩელსი" ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი კვირით ადრე მოიპოვებს ტიტულსო.

მაურინიუს ოპტიმიზმს დიდზე დიდი საფუძველი ჰოლანდიელი არიენ რობენის გამოჩენამ შემატა — რობენმა, რომელიც სეზონის წინ დაშავდა და საქმეში ბოლოხანს ჩაერთო, ოთხ თამაშში ოთხჯერ გაიტანა. გასულ შაბათს 20 წლის გარემარბმა „ფულემის" დაცვა გადარია, დაქროდა და დაქროდა.

„რობენი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ის დღეს შეუჩერებელი იყო" — თქვა მერე „ფულემის" მწვრთნელმა კრის კოულმენმა, რომელმაც მთლიანობაში „ჩელსის" თამაშს სულისშემძვრელი უწოდა.

მაურინიუ და მისი თანამოაზრენი უფრო შორსაც იყურებიან და საგაისო კინგზ როუდზე, ფანებთან ერთად დიდი ზეიმისთვის აქედანვე ემზადებიან — 2005-ში 50 წელი სრულდება, რაც „ჩელსიმ" თავის ისტორიაში ერთადერთხელ მოიგო ინგლისის ჩემპიონის ტიტული. ზეიმი, ბუნებრივია, ისეთი იქნება, „ჩელსის" რომ შეეფერება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ოსკარის მფლობელი მსახიობი რიჩარდ ატენბორო კლუბის საპატიო ვიცე-პრეზიდენტია, მაგრამ ვიმეორებთ, თუ აქამდე ხსენებული ზეიმი ძველი დიდების მოგონებად იყო ჩაფიქრებული, დღეს რომან აბრამოვიჩის და, შესაბამისად, ჟოზე მაურინიუს გამოჩენის შემდეგ ახალი ტიტულით გახარებაც ჩაიწერა გეგმაში.

და კიდევ, არ უნდა დაგვავიწყდეს პიტერ კინიონიც, აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც აბრამოვიჩმა „მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადაიბირა და ვინ იცის, ნებისმიერი ფეხბურთელის ყიდვას უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ საქმის მცოდნე საფეხბურთო ბიზნესმენის შეძენა სჯობდა. კინიონი აბრამოვიჩის ფულით „ჩელსის" „რეალის", „მანჩესტერ იუნაიტედის" და მსგავსი მონსტრების დონეზე აყვანას გეგმავს.

„საუბარია მუდმივ და არა ერთჯერად წარმატებებზე" — ბრძანა ბიზნესმენმა, რომელმაც უკვე შეადგინა „ჩელსის" განვითარების ათწლიანი გეგმა. ამ ათწლიანი გეგმის შუაში, ხუთი წლის შემდეგ, მისი მტკიცე რწმენით, „ჩელსი" ყოველგვარი „ჩუკოტკიდან მოტანილი" ფულის გარეშე თვითონ გახდება მომგებიანი ორგანიზაცია.

„მომგები გუნდის უკან მომგებიანი ბიზნესი უნდა იდგეს" — ამბობს კინიონი

და მაურინიუც არ მალავს, რომ ლონდონში დიდი ხნით აპირებს დარჩენას — ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის მატჩები ჯერ კიდევ ბავშვობაში მოსწონდა, როდესაც პორტუგალიის ტელევიზიით ადევნებდა თვალს, ხოლო მიზნად პრემიერლიგის ჩემპიონის წოდების ერთი ამოსუნთქვით მოპოვება რომ ჰქონდა დასახული, ამაზე ლაპარაკი აღარ არის.

და, ცხადია, წინ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფია.

„დიდი ევროპული წარმატების გარეშე მწვერვალი არ არსებობს" — მხარს უჭერს კინიონიც.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დაირხა ხმები, რომ იტალიის დედაქალაქის ფინანსურად გაჭირვებული კლუბი, „ლაციო" იანვარში ფაბიო ლივერანისა და პაოლო ნეგროს გაყიდვას აპირებს. რაღაც საეჭვო ითქვა ვეტერან მეკარე ანჯელო პერუციზეც*

# ლივერანი-პერუცი ჭორია, პაოლო ნეგრო ნაღდი




ფაბიო ლივერანი

„ლივერანისთან ან ვთქვათ, ანჯელო პერუცისთან დაკავშირებით პრობლემა არ გვაქვს — განუცხადა იტალიის რადიოს „ლაციოს" პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ — არანაირი სკანდალი არ მწიფდება და არც სირთულეების მომასწავებელი სიტუაციაა. ვერ გეტყვით, საიდან მოაქვთ ასეთი ჭორები, მით უფრო, რომ პერუცი გამოჯანმრთელდა და „კალიარის" წინაალმდეგ კარსაც დაიცავს".

მაგრამ ლოტიტოს ასეთი განცხადებების მიუხედავად, იტალიური გაზეთები აგრძელებენ წერას, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გაყიდვის გარეშე რომაელები ფონს ვერ გავლენ.

ზემონახსენები ლივერანი ადრე „პერუჯაში" თამაშობდა. ცნობილია, რომ მისი თავის გუნდში ხილვა ძალიან სურს მის ყოფილ თავკაცს სერსე კოზმის, რომელიც ახლა „ჯენოაში" მუშაობს და გუნდის სერია B-დან სერია A-ში ალზევებისთვის იბრძვის.

პაოლო ნეგროსთან დაკავშირებით კი მდგომარეობა უფრო რთულადაა — მისი აგენტი ტიბერიო კავალიერი პრეზიდენტ ლოტიტოს შეხვდა და ფეხბურთელის კონტრაქტის განხლებაზე ესაუბრა. ნეგროს მიმდინარე ხელშეკრულებას ძალა 2005 წლის 30 ივნისს გაუდის, ხოლო მისი ხელფასი სამი წლის განმავლობაში გახლდათ დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარი. აღსანიშნავია, რომ ვეტერან მცველს მაგიდაზე „ფიორენტინას", „ბრეშას" და თავისი ყოფილი შეფის, დღეს „ინტერის" თავკაცის რობერტო მანჩინის მოწვევა უდევს.

**პაპუნა ძიდია**

# როდის წავალთ აქედან?!

## მიდო რომას გაურბის

**ეგვიპტელი** თავდამსხმელი მიდო სავარაუდოდ იანვარში „რომას" დატოვებს. ეს ამბავი კი უპირველეს ყოვლისა იმითაა საინტერესო, რომ მიდო „რომაში" მხოლოდ და მხოლოდ ორიოდ თვის მისულია.

მიდოს აგენტი მინო რაიოლა: „თუ კლუბს ჩვენი წასვლა სურს, ამისთვის მზად ვართ. კაცმა რომ თქვას, გუნდის დღევანდელი მდგომარეობის შემყურეებს, თავად გვაქვს ერთი სული, როდის წავალთ აქედან".

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტელმა „რომასთან" ხელშეკრულებას სატრანსფერო სეზონის მიწურულს მოაწერა ხელი, მაგრამ როგორც რუდი ფიოლერის, ასევე ლუიჯი დელ ნერის ხელმძღვანელობით, ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

„მიდოს წინაშე შეცდომებია დაშვებული. კლუბს უკიდურესად ცუდად აქვს საქმე და ფეხბურთელის ქომაგებისგან ან ჟურნალისტებისგან დასაცავად ვერაფერს აკეთებს. მას ხალხისთვის თავისი ოსტატობის ჩვენების საშუალებაც კი არ მისცეს. მიდოს ან არ ათამაშებენ, ან თუ ათამაშებენ, მარცხენა ფრთაზე, არადა ის თავდამსხმელია".

ალსანიშნავია, რომ „მარსელის" ყოფილი ფორვარდი „მანჩესტერ სიტის" მოსწონს.



„ჩვენ წინადადებები გვაქვს, ასე რომ, „რომა" უნდა დაგველაპარაკოს და გაგვარკვიოს, თუ გვიშვებს, ჩვენს გზას დავადგებით. ჩემი კლიენტი უკმაყოფილოა და ამბობს, რომ ასეთ ცუდ მდგომარეობაში არასდროს ყოფილა. „რომაში" არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ერთ წუთს გაგდებულად აცხადებენ, მეორე წუთს კი ათამაშებენ. ეს სისულელეა"— დასძინა აგენტმა.

**პაპუნა ძიდია**



# დელ ნერი ორიგინალში

## იტალიელის მოგზაურობა პორტუგალიაში

*სერია A-ს სეზონის პირველ ტურში, როდესაც „კიევო" ინტერს" მასპინძლობდა, ქომაგებმა 50-მეტრიანი პლაკატი გადმოფინეს, რომელზეც რთულად ეწერა: „ექვით სავსე თვეები და 1 500 გვერდიანი საქმე — არადა, საკმარისი იყო მხოლოდ ამის ნაკითხვა — „კიევო", ლუკა, ჯოვანი, ჯიჯი, ჩვენ ეჭვიც არ გვეპარებოდა".*

**ეს პლაკატი** „კიევოს" პრეზიდენტ ლუკა კამპედელის, სპორტული დირექტორის ჯოვანი სარტორის და ყოფილი მწვრთნელის, ლუიჯი დელ ნერის დასანახად და გასაგონად იყო შექმნილი. ეს ის ხალხია, რომლებიც მატჩების გარიგებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, მაგრამ სასამართლომ გაამართლა. და როგორც პლაკატიდან ჩანს, გულშემატკივრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ეს ხალხი ჩაწყობებში არ მონაწილეობდა. თუმცა პორტუგალიური „პორტუს" შეფებს დელ ნერიზე, ეტყობა, მაინც შეეპარათ ეჭვი. ამბობენ, რომ „პორტუს" თავკაცად ზაფხულში მისული დელ ნერი იქიდან ზაფხულშივე იმიტომ გამოიქცა, რომ იტალიაში ვიღაცამ ჩაწყობა ახსენა. დენ ნერი სამშობლოში 7 აგვისტოს წავიდა, 7 აგვისტოს კი სასამართლოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოცხადებული, რომ მწვრთნელი უდანაშაულოა.

მოკლედ, დელ ნერი „პორტუდან" ისე წავიდა, რომ ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია, წამოსვლის მიზეზად კი, რა არ ივარაუდეს... „პორტუს" შეფებმა ოფიციალურ დოკუმენტში ვარჯიშების ხშირი გაცდენა ჩაწერეს. ბუნებრივია, ბავშვებიც მიხვდნენ, რომ დოკუმენტში სისულელე სწერია. კაცი „კიევოში" ოთხი წელიწადი ისე მუშაობდა, რომ უგულობა ერთი წამით არ გამოუმჟღავნებია.

„რამე უკეთესი ვერ მოიფიქრეს? ერთხელ არ მახსოვს შემთხვევა, დელ ნერის ვარჯიში გაეცდინოს" — ამბობდა „კიევოს" ნაკაპიტნარი მაურიციო დანჯელო.

შემდეგ იყო გაზეთების ვერსია, თითქოს დელ ნერის და „პორტუს" შეფებს ახალი ფეხბურთელების ყიდვასთან დაკავშირებით ჰქონდათ უთანხმოება. კიდევ ითქვა, თითქოს პორტუგალიელი და ბრაზილიელი მოთამაშეები იტალიელს რთულ ტაქტიკურ დავალებებს ვერ უგებდნენ ვერაფერსო. მეტიც, ითქვა, რომ დელ ნერიმ გუნდიდან ზანგების დათხოვნა დაიწყო, ხოლო ვინც ვერ გააგდო, იმათ არ ელაპარაკებოდა.

ამის გამგონე შინ დაბრუნებულმა დელ ნერიმ გაიცინა: „ზანგებზე და გაცდენებზე ლაპარაკი მართლა ძალიან მახალისებს. გაიხსენეთ, როგორ ვმუშაობდი „კიევოში" ერიბერტოსთან (იგივე ლუსიანო). ჩვენ სრული თანხმობა გვქონდა, ხოლო ვარჯიშზე ერთხელ მართლაც დავიგვიანე, იმიტომ, რომ ავიარეისი დაბრკოლდა. მოკლედ, ასეთს ნამდვილად არაფერს ველოდი. გუნდი ამერიკული ტურნედან დაბრუნდა და ჰოპ, ღამის სამ საათზე პირდაპირ ტრაპიდან ოფისში მიბარებენ, სადაც მიცხადებენ, რომ გათავისუფლებული ვარ. კეთილი, ვარ და ვიყო, ფეხბურთში მწვრთნელებს თანამდებობიდან ათავისუფლებენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ან დანიშვნა რა იყო, ან მოხსნა? მოკლედ, ცუდად მომექცნენ და, სხვათა შორის, ამის მერე ბევრი ავტორიტეტული მწვრთნელისგან უარი მიიღეს, არადა, ნუ დაგავიწყებათ, „პორტუ" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია, სადაც მწვრთნელები ერთმანეთს უნდა ასწრებდნენ მისვლას.

რომ მივდიოდი, ვფიქრობდი, რომ საუკეთესოდ ორგანიზებული კლუბი დამხვდებოდა. კაცმა რომ თქვას, არც ახლა მგონია „პორტუ" ცუდად ორგანიზებული, უბრალოდ, ჩემს მიმართ ჩადენილი საქციელი ყოველგვარ კონტექსტიდან ვარდება. სხვათა შორის, ახალჩასულს გამიკვირდა, თურმე წესდებაში ახალი მწვრთნელის 30-დღიან გამოცდაზე სწერებიათ რაღაც. ეს ამბავი თავიდანვე მეჩოთირა, რა გამოსაცდელი ვადა, რის გამოსაცდელი ვადა!

ბოლოს კი მგონი, მივხვდი, რაც უნდოდათ, მათ უნდოდათ მე ახალი მაურინიუ გავმხდარიყავი, არადა, ასლი ხომ ყოველთვის ორიგინალზე ცუდია. იდეები, რომლითაც მე ჩავედი, ტაქტიკურად „პორტუს" ცვლიდა და მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა აკეთებს იმას, რაც ეხერხება. ჩემთვის ეს ნორმალური ამბავია. მათ კი ეტყობა, სხვა შეხედულებები აქვთ. ვხვდები, რომ მათ იტალიელისთვის თამაშის ნდობა არ სურდათ. რადგან შიშობდნენ, რომ „პორტუს" ტრადიციებისგან განსხვავებულ ფეხბურთს ვათამაშებდი".

**პაპუნა ძიდია**

# ბარსადან ბარსაში

## დავიდსი იანვარში კატალონიაში დაბრუნდება

**ედგარ დავიდსზე** ითქვა, რომ იანვარში „ინტერიდან" წავა. მიზეზი ნათელია, ჰოლანდიელმა ფეხი ვერ მოიკიდა გუნდში.

შეგახსენებთ, რომ დავიდსმა ამ წლის დასაწყისში „იუვენტუსიდან" ჯერ „ბარსელონას" მიაკითხა, სადაც გაზაფხულამდე ითამაშა, ხოლო შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით „ინტერში" დაიდო ბინა. იქ, „ინტერში", მოსალოდნელი იყო, რომ „პიტბული" ახალი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ერთ-ერთ ფავორიტად იქცეოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, რომ 31 წლის ნახევარმცველი ისევ „ბარსელონაში" დაბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერს ამჯერად ბევრი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული და უპირველეს ყოვლისა ნახევარდაცვაში აქვს პრობლემა. იყო ლაპარაკი, რომ კატალონიელები „რომადან" ფრანგ ოლივიე დაკურს ან „იუვენტუსიდან" ალესიო ტაკინარდის გადაიყვანდნენ, თუმცა ახლა, ამ წყვილს როგორც ხედავთ, დავიდსიც დაემატა.

„ესეც შესაძლებელია" — თქვა ჰოლანდიელმა, როდესაც „ბარსა" უხსენეს.

მოსალოდნელია, რომ „ინტერიდან" წავა არგენტინელი ხულიო კრუზიც. მის სახელს „პალერმოს", „სამპდორიას" და „ლივერპულს" უკავშირებენ.

**პაპუნა ძიდია**



# ლუის არაგონესის სინდისი სუფთაა
## ესპანელმა ბრიტანეთი არქივიდან ამოქექა

*ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი ოქტომბერში მომხდარი ამბის გამო შარში გაეხვა. ერთი თვის წინ, ესპანეთ — ბელგიის მატჩამდე, მწვრთნელმა არსენალელ ხოსე ანტონიო რეიესს უთხრა, იმ შავ ნეხვს, ტიერი ანრის შენ ჯობიხარო. არაგონესის ნათქვამი ქვეყანამ შეიტყო, ესპანელთა თავკაცს კი თავის მართლება მოუწია*





ანრის შეურაცხყოფა არც მიფიქრიაო, განმარტა არაგონესმა

| 19:30 | 806 | სიონი-იანგ ბოიზი | 3.45 | 3.35 | 1.85 | 1.69 | 1.2 | 1.13 |
| 19:30 | 807 | თუნი-ბაზელი | 2.8 | 3.25 | 2.15 | 1.5 | 1.21 | 1.29 |
| | | **21 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 808 | ციურიხი-ბელინცონა | 2.55 | 3.2 | 2.35 | 1.41 | 1.22 | 1.35 |
| 16:30 | 809 | ლუცერნი-კონკორდია | 1.6 | 3.45 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.0 |
| 16:30 | 810 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 16:30 | 811 | ქსამაქსი-ციურიხი | 1.9 | 3.25 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.7 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 500 | მოდო-მორა | 1.4 | 4.8 | 4.1 | 1.08 | 1.04 | 2.21 |
| 21:00 | 501 | იურგორდენი-ლულეო | 1.75 | 4.4 | 2.9 | 1.25 | 1.09 | 1.74 |
| 21:00 | 502 | ფერიესტადი-ჰვ 71 | 1.85 | 4.2 | 2.7 | 1.28 | 1.09 | 1.64 |
| 21:00 | 503 | ფრიოლუნდა-მალმიო | 1.3 | 4.7 | 4.8 | 1.01 | 1.02 | 2.37 |
| 21:00 | 504 | ლინჩიოპინგი-ტიმრე | 1.95 | 4.4 | 2.6 | 1.35 | 1.11 | 1.63 |
| | | **ჰოკეი გერმანია** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 573 | კიოლნი-დიუსელდორფი | 1.55 | 4.2 | 3.8 | 1.13 | 1.1 | 1.99 |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 574 | კრეფელდი-იზერლონი | 1.65 | 4.4 | 3.4 | 1.2 | 1.11 | 1.91 |
| 21:30 | 575 | მანჰაიმი-ნიურნბერგი | 1.95 | 4.5 | 2.5 | 1.36 | 1.09 | 1.6 |
| 21:30 | 576 | აისბარენი-ჰანოვერი | 1.35 | 5.0 | 5.2 | 1.06 | 1.07 | 2.54 |
| 21:30 | 577 | ინგოლშტადი-კასელი | 1.4 | 4.7 | 4.5 | 1.07 | 1.06 | 2.29 |
| 21:30 | 578 | ფრანკფურტი-ვოლფსბურგი | 1.4 | 4.7 | 4.5 | 1.07 | 1.06 | 2.29 |
| | | **ჰოკეი შვეიცარია** | | | | | | |
| | | **19 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:45 | 587 | დავოსი-სერვეტი | 1.6 | 4.4 | 3.1 | 1.17 | 1.05 | 1.81 |
| 21:45 | 588 | ლუგანო-ფრიბურგი | 1.35 | 4.8 | 4.6 | 1.05 | 1.04 | 2.34 |
| 21:45 | 589 | რაპერსვილი-ამბრი | 1.85 | 4.3 | 2.7 | 1.29 | 1.09 | 1.65 |
| 21:45 | 590 | ციურიხი-ცუგი | 1.6 | 4.5 | 3.2 | 1.18 | 1.06 | 1.87 |
| | | **ჰოკეი რუსეთი** | | | | | | |
| | | **18 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 606 | სიბირი-ნოვოკუზნეცკი | 2.2 | 4.0 | 2.3 | 1.41 | 1.12 | 1.46 |






# სამარაში დასაჯდომად გამოიშვეს?

## ცინცაძე ძირითადად ძირითადს ემდურის

**საქართველოს ნაკრების 18 წლის გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ რუსული სუპერლიგის ბოლო ტურში მოსკოვის ცსკა-ს 10 წუთში 7 ქულა ჩაუგდო და თან 6 შედეგიანი გადაცემაც გაჩარხა. ყველა სათამაშო მაჩვენებლის შეჯამების შედეგად ცინცაძე სამარელთაგან საუკეთესო იყო, თუმც ის საუკეთესო მანამდეც ყოფილა, მაგრამ ცსკა-ვე-ვე-ეს-ში ფეხი ვერა და ვერ მოიკიდა. გიორგი უკმაყოფილოა და ამბობს, თუ მომავალში ბევრს არ მათამაშებენ, სხვა გუნდში გადასვლას მოვითხოვო. ცინცაძე მოსკოვის ცსკა-ს საკუთრებაა და „სამარაში“ გამოცდილების მისაღებადაა განათხოვრებული. ასე რომ, თუ მას სამარელები არ ათამაშებენ, ცინცაძის სხვა გუნდში გადასვლა ცსკა-ს ინტერესებშიც იქნება...**



— შენი მფლობელი გუნდის, მოსკოვის ცსკა-ს წინააღმდეგ თამაშით კმაყოფილი იქნები...

— კმაყოფილების საბაბი არ მაქვს, ლამის 40 ქულით წავაგეთ...

— პირადად შენ საკმაოდ კარგი სტატისტიკა გქონდა...

— ცუდად არ მითამაშია, ის კი არა, საერთო კოეფიციენტი, რომელშიც ყველა მაჩვენებელი შედის, ყველაზე მეტი გამომივიდა თანაგუნდელთა შორის.

**— თუ ასე შედეგიანი იყავი, მხოლოდ ათი წუთი რატომ გათამაშეს?**

— სწორედ მაგიტომ მწყდება გული. ცსკა-სთან ქულების უმეტესობა ბოლო მეოთხედში ჩავაგდე, თუმც მანამდეც რომ ვიყავი მოედანზე, არავისზე ცუდად არ მითამაშია, მაგრამ მწვრთნელი მაინც არ მენდობოდა.

**— „სამარის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ხომ პაველ გოოგეა, რომელიც შენ კარგად გიცნობს და ძალიანაც მოსწონხარ?**

— კი, მაგრამ მხოლოდ გოოგეზე არაა დამოკიდებული, ვინ გავა მოედანზე. ხოლო ის, ვინც ამას წყვეტს, რატომღაც არ მენდობა.

**— ალბათ აქვს მიზეზი...**

— არავითარი მიზეზი არა აქვს. ეგებ ასეც იყოს, არ ვიტყვი, „სამარას“ ძირითად გამთამაშებელს ვჯობივარ-მეთქი, მაგრამ რამდენჯერაც მითამაშია, თავი არასდროს შემირცხვენია. თუნდაც ცსკა-მდე, მოსკოვის „დინამოსთან“ ჩემს კონკურენტ იგორ ზელენსკის ერთი თავით ვაჯობე. მიუხედავად ამისა, მაინც ზელენსკი თამაშობს უმეტესად, მე კი რამდენიმე წუთით მეძლევა შანსი.

**— მაინც რატომ უნდა ხდებოდეს ასე?**

— ადრეც მითქვამს, რომ „სამარაში“ ჯერ ადგილობრივ მოთამაშეებს ენდობიან და მერე სხვებს. ხოლო მე არათუ სამარელი, რუსიც კი არ ვარ და, ჩემი აზრით, ალბათ ამიტომ მიწევს ხშირად სკამზე ჯდომა.

— [illegible] ალბათ შეიცვლება ვითარება...

— [illegible] ხოლო თუ არ შეიცვლება, რამე უნდა ვიღონო. ეგებ ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ სათამაშო პრაქტიკა არ მექნა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ სხვაგან გადავიდე. ამით ალბათ ცსკა-ც დაინტერესდება, რადგან „სამარაში“ სათამაშოდ გამომიშვა და არა სკამზე საჯდომად.

**— თუ თამაში გინდა, აგერ, დუბლიორთა გუნდიაო, ეგებ გითხრან სამარელებმა?**

— დუბლებშიც ვარ ხანდახან, მაგრამ იქ მიღებული პრაქტიკა როგორ შევადარო სუპერლიგაში თუნდაც 10 წუთით თამაშს. დუბლებში 20-25 ქულას ვაკეთებ, საშუალოდ რვა პასი მაქვს და რამდენ მატჩშიც მითამაშია, არც ერთი არ წაგვიგია. ასე რომ, საყვედურის თქმის საბაბს არავის ვაძლევ, მაგრამ ხანგრძლივად მაინც არ მათამაშებენ ძირითად გუნდში.

**ირაკლი პერტაია**

პარლამენტის ბიბლიოთეკა




ეროვნული ნაკრების ამ მაისურების შეძენას ნებისმიერი მსურველი შეძლებს

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

16 ნოემბერი

**შარლოტი 105:107 იუტა**
შარლოტი: ბოგანსი (28), პაუსი (17)
იუტა: ბუზერი (34), ბელი (21)

**ფილადელფია 95:103 სიეტლი**
ფილადელფია: აივერსონი (26)
სიეტლი: ალენი (37), ლუისი (21), რადმანოვიჩი (20), დანიელსი (19)

**მინესოტა 108:97 მაიამი**
მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 21 მოხსნა, 8 პასი), შჩერბიაკი (21), კასელი (19)
მაიამი: ვეიდი (25), ონილი (20 ქულა, 15 მოხსნა)

**დალასი 101:107 ფინიქსი**
დალასი: სტეკჰაუზი (21), ნოვიცკი (20 ქულა, 16 მოხსნა)
ფინიქსი: სტუდემაიერი (34 ქულა, 11 მოხსნა), მარიონი (18 ქულა, 14 მოხსნა), რიჩარდსონი (18 ქულა, 13 მოხსნა), ნეში (17 ქულა, 18 პასი, 6 მოხსნა, 10 დაკარგვა)

**ატლანტა 88:84 ჰიუსტონი**
ატლანტა: უოლკერი (20 ქულა, 10 მოხსნა), დრობნიაკი (15)
ჰიუსტონი: მინგი (27 ქულა, 11 მოხსნა), მაკგრეიდი (21), ჯეკსონი (18)

**საკრამენტო 113:106 ჩიკაგო**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29), ბიბი (27), ჯეკსონი (20), ვებერი (19 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი)
ჩიკაგო: პიატკოვსკი (24), დენგი (24), კარი (14 ქულა, 10 მოხსნა), ჩანდლერი (13 ქულა, 14 მოხსნა)

**კლიპერსი 101:89 ტორონტო**
კლიპერსი: იარიჩი (23), მეჯიტი (22)
ტორონტო: კარტერი (21)

**სან ანტონიო 99:81 ნიუ იორკი**
სან ანტონიო: პარკერი (19), დანკანი (17 ქულა, 10 მოხსნა)
ნიუ იორკი: კროუფორდი (16), ტომასი (15)




REUTERS

კევინ გარნეტი ყველაზე მაღლა

# ფედერალური ორგანიზაცია

## ვერის ბაღში იმღერებენ, იცეკვებენ, ისვრიან და ითამაშებენ კიდეც

**უნიკალური** შემთხვევა: საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ოფიციალური სპონსორი გამოუჩნდა. ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე კომპანია „ნუკოილი“ ფედერაციის პარტნიორი გახდა, ოღონდ, რა დოზით დააფინანსებს ჩვენს გაუფერულებულ ჩემპიონატს, ჯერჯერობით უცნობია.

თანაც, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ „ნუკოილი“ არ დაეხმარება ქართულ კალათბურთს: ავსტრიის ავიახაზები, სასტუმრო „სიმპათია“ და ფირმა „სარო“ ფედერაციის ტექნიკურ სპონსორობას გასწევენ. „სარო“ საკუთარ თავზე იღებს ეროვნული ნაკრების ეკიპირებას და გულშემატკივართათვისაც შეკერავს ჩვენი ლეგიონერების თუ ნაკრების აქ მოთამაშე წევრების მაისურებს.

დაახლოებით ათ დღეში ვერის ბაღის ვესტიბიულში ეროვნული ნაკრების ხუთი ნაირსახეობის მაისურა გამოიფინება, რომლის ყიდვა ნებისმიერ მსურველს შეეძლება.

მაგრამ ჯერ სად ხართ, ფედერაცია კიდევ ბლომად სიახლეს სთავაზობს გულშემატკივარს. მომავალი კვირიდან ყოველი ცენტრალური მატჩის შესვენებისას გაიმართება შეჯიბრი სამქულიანების სროლაში. მინი-ტურნირში მონაწილეობის მსურველი გულშემატკივრები ორ ტრიბუნაზე განაწილდებიან და სპეციალური ჟიური კენჭისყრით გამოარჩევს იმ ადგილებს, რომელზე მჯდომი ხალხიც ნაირგვარი პრიზებისთვის შეეჯიბრება ერთმანეთს. გამარჯვებულთა დაჯილდოვება ტურნირის დასრულებისთანავე შედგება.

ცენტრალური მატჩიო, ვთქვით და ეს ტერმინი ალბათ ეროვნულ ჩემპიონატში მყარად დაფუძნდება. ყველა ტურში იქნება „ცენტრალური მატჩი“, რომელიც 14 საათზე გაიმართება და მის პირდაპირ ტელეტრანსლაციას „პირველი არხი“ განახორციელებს.

გულშემატკივართა მიზიდვის მიზნით თამაშები მხოლოდ კვირა დღეს ჩატარდება და, როგორც ხედავთ, დარბაზშიც არ იქნება მოსაწყენი ატმოსფერო. თუ ვინმეს მაინც წათვლიმა, შესვენებებზე მოცეკვავე გოგონები გამოაფხიზლებენ, რომლებიც, როგორც საზღვარგარეთაა მიღებული, რომელიმე კონკრეტული გუნდის კი არა, მთელი ჩემპიონატის გამამხნევებლები იქნებიან.

ფედერაციამ ქალებზეც იზრუნა. მანდილოსანთა ჩემპიონატი ამიერიდან უფრო ორგანიზებული იქნება და თუ ადრე ქალებს საბაზო დარბაზი არ ჰქონდათ, ახლა ვერის ბაღში ითამაშებენ ვაჟთა მატჩების დასრულების შემდეგ.

ვერის ბაღშივე დაიდებს ბინას ბავშვთა ლიგაც, რომლის მატჩებიც ადრე ხან სად იმართებოდა და ხან სად.

მოკლედ, როგორც ხედავთ, სიახლე ბევრია და იმედს ვიტოვებთ, ამის შემდეგ მაინც გამოიხედავს გულშემატკივარი კალათბურთისკენ. ვერის ბაღში ხომ ამიერიდან მხოლოდ კალათბურთი არ იქნება, არამედ თითოეულს შეეძლება სახალისო შეჯიბრში მონაწილეობით ფასიან საჩუქარს გამოჰკრას ხელი და სრულიად უსასყიდლოდ ნახოს ტანკენარი გოგონების დამათრობელი როკვა.

ასე რომ, ყველანი ვერის ბაღში!

**ირაკლი პერტაია**



ბაჩო კომოლაშვილის ფოტო

20 ნოემბერს კრასნოდარში რა მატჩიცაა, შეხსენება არ გჭირდებათ. საქართველოს ნაკრები 2005 წლის ევროპულ საერთათასო სეზონს ისტორიულ მეტოქესთან სტუმრობით იწყებს. ისტორია ტყუილად არ გვიხსენებია: ბორჯღალოსნებს გალიაში მომწყვდეული ჩიტივით ჰყავთ მეზობელი რუსები, 8 ურთიერთჯახიდან ექვსჯერ დაურბევიათ და ჩვენც ხშირად გვიხუმრია, ეს რუსები რომ არ გვყავდნენ, რა გვეშველებოდაო. ჩვენი ნაკრების თავკაცებმა – მალხაზ ჭეიშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა, საკრასნოდარო შემადგენლობა უკვე დაასახელეს, რომელსაც არც ოპტიმალური ეთქმის და არც მოყანწყალებული. უბრალოდ, როგორც ხშირად ხდება, რამდენიმე ღონიერი ლეგიონერი დგვაკლდება. ალბათ, ძირითად 15 კაცში იქნება მესამეხაზელი რატი ურუშაძე, რომელიც რუს მორაგბეებს თხემით ტერფამდე იცნობს. რატი, კარგა ხანია, კრასნოიარსკის „ენისეიში" ბურთაობს და რუსეთში ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის სახელიც დაუგდია. სანაკრებო სამზადისის გარდა, ურუშაძეს რუსეთის ჩემპიონატის ფინალზეც შევეკითხეთ, სადაც მისმა „ენისეიმ" მონინოს ვვა-სთან წააგო:

# ქართველი კაცი მტრის ბანაკში

## რატი ურუშაძე: ჟინით ყველაფერს გავიტანთ

— ჩემპიონატში თანაბარი ქულები დავაგროვეთ და „ოქროს მატჩზე" მიდგა საქმე. ეს შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე მოსკოვში გაიმართა, თუმც თავად განსაჯეთ, როგორი ნეიტრალურია — კრასნოიარსკიდან მოსკოვამდე 2 ათასი კილომეტრია, მონინო კი იქვე ყურისძირშია. წაგება ჩვენი ბრალია, 70 წუთი უპირატესობა ხელიდან არ გაგვიშვია, მაგრამ უმარტივესი შეცდომები დავუშვით, სალელოე ხაზთან მისვლისას სამჯერ გაგვივარდა ბურთი ხელიდან და პირველი ტაიმი 3:13 წავაგეთ. მეორე ნახევარში ბევრს ვუტევდით, პირადად ლელოც დავდე, მაგრამ ჩამორჩენა ვერ ამოვქაჩეთ.

— რეალურად ვვა უფრო ძლიერია თუ „ენისეი"?

— ძნელია შედერება. ისინი ხაზის მოთამაშეებით გვჯობნიან, ჩვენ კი შერკინებით.

— ახლა მთავარზე: 20 ნოემბერს კრასნოდარში გვაქვს თამაში...

— ძალიან გაგვიჭირდება. რუსეთის ნაკრებმა საფრანგეთში გაიარა 10-დღიანი შეკრება, ჩვენ კი ამხელა დრო არ გვქონია და შეთამაშება გვაკლია. შეთამაშება კი რაგბიში ძალიან ბევრს ნიშნავს და ღმერთმა ქნას, რუსებმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენონ. უფრო სწორად, არ უნდა გამოვაყენებინოთ.

— გარდა ამისა, შესუსტებული შემადგენლობა გვეყოლება. ყოველივე ამან ნაკრებს განწყობა ხომ არ წაუხდინა?

— არა, განწყობა საბრძოლოა. აი, ლეგიონერები რომ 15 ნოემბრამდე არ გამოუშვეს კლებებმა, ეს კი ძალიან ცუდია. ამ დროს რუსებს ეს პრობლემა მოხსნილი აქვთ. საერთოდაც, დიდი ხანია, ერთად თამაშობენ და ერთმანეთის კარგად ესმით. მათ არც დაფინანსება აკლიათ და მოტივაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, შეთამაშების მხრივ უპირატესობა სლავებს აქვთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ სერგეი სერგეევმა და კონსტანტინ რაჩკოვმა სანაკრებო კარიერა დაასრულეს. რაც უნდა იყოს, მოსაგებად თავი უნდა გადავდოთ, ბრძოლით და ჟინით ყველაფერის გაკეთება შეიძლება.

— შენ განსაკუთრებით კარგად იცნობ რუს მორაგბეებს, „ენისეიდანაც" ჰყავთ მოთამაშეები და მათთან ისაუბრებდი ამ მატჩზე...

— „ენისეიდან" 6 კაცი ჰყავთ ნაკრებში და თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მათ აღარ დავკავშირებივარ. ისე, როგორც გითხარით, „დუხზე" არიან, ულაპარაკო მოგებას გეგმავენ.

— რუსეთის ნაკრებში ვეტერანი უამბაევიც გამოიძახეს, რომელსაც ქართველი გულშემატკივრები ნაკლებად იცნობენ. რა დონის მორაგბეა?

— მგონი, უამბაევმა ჩვენს წინააღმდეგ ბოლოს 1998 წელს ითამაშა თბილისში. იგი 36 წლისაა, ფრანგულ „ბეზიეშია" და ზოგჯერ ძირითადშიც ხვდება. მხოლოდ ის ვიცი, რომ ძლიერი მორაგბეა...

— რუსების ახალ თავკაც იგორ მირონოვს როგორი სამწვრთნელო რეპუტაცია აქვს, ენდობიან თუ ეჭვის თვალით უყურებენ?

— როგორც იცით, იგი წარსულში ძლიერი იყო და სსრკ-ის ნაკრებში თამაშობდა ნუგზარ ძაგნიძესთან ერთად. შემდეგ ვვა-დან ერთ-ერთ ფრანგულ კლუბში გადავიდა. ზუსტად არ ვიცი, მგონი, იქაც წვრთნიდა რომელიღაც გუნდს. მირონოვი რუსეთში ავტორიტეტით სარგებლობს, 20 ნოემბერს სადებიუტო მატჩი აქვს ნაკრებში და ვიცი, გუნდიც ყველაფერს გააკეთებს მის გასახარებლად.

**ილია ნანოგაშვილი**



*უპრეზიდენტოდ დარჩენილ ჭიდაობის ფედერაციაში გუშინ პრეზიდიუმი შეიკრიბა და მოახლოებული ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღზე იმსჯელა. გოჩა ძასოხოვის გადადგომის შემდეგ ახალი თავკაცის არჩევის თარიღზე მიახლოებით საუბრობდნენ, ახლა კი დაზუსტებული ინფორმაციაც მივიღეთ*

# საპრეზიდენტო პრეზიდიუმი

## ჭიდაობამ არჩევნებს დრო შეურჩია

„ოცდახუთკაციანმა პრეზიდიუმმა ძირითადად სამ საკითხზე იმსჯელა — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — პირველი და უმთავრესი ყრილობის თარიღისა და მისი ჩატარების ადგილის დაზუსტება იყო, მეორე — იმ მუშა ჯგუფის შერჩევა, რომელიც ყრილობისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებდა და მესამე — პრეზიდენტობის კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადის დადგენა.

...ყრილობა 15 დეკემბერს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სააქტო დარბაზში ჩატარდება. მუშა ჯგუფს ვეტერანი მოჭიდავე გიორგი მაკასარაშვილი უთავკაცებს, კანდიდატებს კი უკვე 18 ნოემბრიდან შეუძლიათ, მოგვმართონ. განაცხადების მიღება 10 დეკემბრამდე გაგრძელდება. კენჭისყრაზე ხმის უფლება პრეზიდიუმის წევრების გარდა ვეტერან მოჭიდავეებს, ოლიმპიური გუნდების წევრებს, სპორტულ ორგანიზაციებსა და რაიონებს ექნებათ. სულ ხმას 158 დელეგატი მისცემს."

შოშიტაშვილს, ცხადია, სავარაუდო კანდიდატებზეც დავეკითხეთ, მაგრამ თავის შეკავება ირჩია, ჭორებს მეც ვისმენ, მაგრამ ვიდრე ოფიციალურ განაცხადებს არ ვნახავ, არაფერს ვიტყვიო. ჩვენ კი ისევ კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატების სამეულს დაგისახელებთ. ვეტერანი მოჭიდავის ბაკურ გოგიტიძისა და პარლამენტარ ვალერი გელაშვილს გვარების შემდეგ ყველაზე მეტს ექსპარლამენტარ ზაზა სიორიძეზე ლაპარაკობენ. თუმც დაველოდოთ ოფიციალურ განაცხადებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# კოკაიმ მეორე ოქმაკი დასცა

**ხუმოისტთა** ბოლო წლევანდელ ტურნირში გუშინ მეოთხე ტურის ბრძოლები ჩატარდა. დასავლეთის მეორე მაეგასირამ ლევან ცაგურიამ, იგივე „კოკაიმ" კი მეორე გამარჯვება ჩაიწერა და იმპერატორის თასისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვნად წაიწია წინ. კოკაის მორიგი მსხვერპლი 28 წლის ოძეკი ტიოტაიკამი გამოდგა. ეს ქართველისთვის ოძეკის წოდების სუმოისტთან მეათე შეხლა იყო და ჩვენებურმა ისედაც სოლიდური ბალანსი კიდევ უფრო გაიუმჯობესა. კოკაიმ შვიდჯერ მოიგო, რაც სუმოში ჩახედული ხალხის თქმით, საგმირო საქმე ყოფილა.

ფავორიტებიდან მეოთხე ტური ყველაზე უიღბლო გამოდგა 28 წლის ტოჩიაძუმასთვის. იმპერატორის თასის ორგზის მფლობელი მოულოდნელად მონღოლ კიოკუტენხოსთან დაეცა და ლიდერთა ჯგუფს ჩამოცილდა.

ტოჩიაძუმის წინ ორი მონღოლი დიდკაცია: დასავლეთის პირველი მაეგასირა ხაკუხო და, რაღა თქმა უნდა, იოკოძუნა ასასიორიუ. მათ ანგარიშზე ოთხიდან ოთხი გამარჯვებაა.

**ოთარ მაღლაკელიძე**


ბებერ ევანდერ ჰოლიფილდს ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი ხვდება

# თავს რას იკლავ, ბებერო?!
## ბაბუა ევანდერი ექიმებმა გააწითლეს

**ადრე თუ გვიან**, ბებერი ხარის რქებიც ბლაგვდება. ეტყობა, რაღაც ამგვარი დაემართა ყოფილი ოთხგზის ჩემპიონის, ზემძიმეწონოსანი მოკრივე ევანდერ ჰოლიფილდის მუშტებს, რომლებმაც ძველებური ძალა და სიმკვირცხლე დაკარგეს. ამიტომაც ჰოლიფილდი სამედიცინო დასკვნების საფუძველზე ორჯერ მოკვეთეს რინგიდან, მაგრამ ორივეჯერ დაიბრუნა საკრივო ლიცენზია მას მერე, რაც კლინიკებში ძირფესვიანი შემოწმება გაიარა.

ჰოდა, ეს 42 წლის კაცი კვლავ გამოჩნდა რინგზე, სადაც მისი მეტოქეები გამოცდილ მოკრივეებთან ერთად შვილის ტოლებიც იყვნენ. თუმცა, მუშტებმა, როგორც ვთქვით, ოდინდელი ძალმოსილება დაკარგეს, გასულ შაბათს კი მისი ხილვა „მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე მთლად საცოდაობა იყო. მისმა მეტოქე ლარი დონალდმა ექსჩემპიონს შანსი არ დაუტოვა და პრაქტიკულად ყველა რაუნდი მოუგო. ამის მერე ნიუ იორკის ათლეტთა კომისიის წევრები დაჯდნენ, ითათბირეს და დაასკვნეს, რომ ევანდერ ჰოლიფილდს პროფესიულ რინგზე ასვლა განუსაზღვრელი ვადით უნდა აეკრძალოსო. ეს თქვეს და ნათქვამი საქმედ აქციეს.

„მე ულრმეს პატივს ვცემ ევანდერ ჰოლიფილდს და მის წინაშე ქუდს ვიხრი, მაგრამ ჩემი ვალდებულებანი მოკრივეთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვასაც ითვალისწინებს. ნებისმიერისთვის, ვისაც კრივისა რაღაც გაეგება, ნათელია, რომ ბატონ ჰოლიფილდის საკრივო ჩვევები, სისწრაფე და რეაქცია ძალზე გაუარესდა, იმდენად გაუარესდა, რომ მისთვის ძალზე სახიფათოა რინგზე გამოსვლა" — თქვა კომისიის თავმჯდომარე რონ სკოტ სტივენსმა.

და ამ დროს ევანდერ ჰოლიფილდი იხტიბარს არ იტეხს და თავს სულაც არ თვლის მობერებულად. არც კომისიის დასკვნას ეთანხმება. ყოველ შემთხვევაში, გაზეთ „ნიუ იორკ დეილი ნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ კვლავაც აპირებს რინგზე გასვლას და თვლის, რომ ზოგზოგების სურვილი ჩემი კრივიდან ჩამოშორების თაობაზე რაღაც „შეთქმულებას" უკავშირდებაო.

„რატომ უნდათ მათ ჩემი მოშორება? კრივისთვის ისეთი რა გავაკეთე, რომ ჩემი რინგზე ხილვა აღარ უნდათ? — კითხულობს ჰოლიფილდი და იქვე აგრძელებს — განა შეიძლება ადამიანზე ისე ძლიერად ზრუნვა, რომ იგი საკუთარი თავისგან დაიცვა? გადამეტებული ხომ არაა იმგვარი მონდომება, რომელიც პიროვნების სურვილის საწინააღმდეგოდაა მიმართული?"

კომისიის დასკვნის თაობაზე კომენტარი გააკეთა WBC-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა ზემძიმე წონაში ვიტალი კლიჩკომ.

„ჰოლიფილდი ჩემი გმირი იყო, ამიტომაც ძალზე მტკივნეულად განვიცდიდი ბოლო ორ-სამ ბრძოლაში მის უსუსურ გამოსვლას. ვერ გამიგია, თუ რატომ არ უნდა მას გაჩერება" — თქვა კლიჩკო უფროსმა.

ბოლოს ესეც ვთქვათ — ევანდერ ჰოლიფილდის დისკვალიფიკაცია სამედიცინო მონაცემების მიხედვით გაფორმდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა შტატების საკრივო კომისიები ვალდებულნი არიან, მხარი დაუჭირონ ნიუიორკელი კოლეგების ვერდიქტს. აქედან გამომდინარე, ჰოლიფილდს უკვე აღარ შეეძლება აშშ-ის ტერიტორიაზე კრივი. გამონაკლისი, შესაძლოა, იყოს მხოლოდ ინდიელთა რეზერვაციები, რომელთა სამფლობელოებშიცაა კაზინოები, სადაც პერიოდულად მოკრივეთა ბრძოლები იმართება. ამასთან, სასამართლოს მეშვეობით ჰოლიფილდს დისკვალიფიკაციის გასაჩივრების უფლება აქვს. აგრეთვე აქვს უფლება, წარმოადგინოს შესაბამისი სამედიცინო საბუთები, რომლებიც მის ჯანმრთელობას დაადასტურებენ, რის საფუძველზეც მას რინგისკენ მწვანე შუქი კვლავ აენთება. ადრე მას ეს ფანდი ორჯერ გაუვიდა

**ავთანდილ ჭყვიშელი**



**მასტერსთასი**

ჰიუსტონი. მაგარსაფარი. საპრიზო 4,45 მილიონი

# ენდის კედლებიც ეხმარება

**ჯგუფური ეტაპი**

**წითელი ჯგუფი**

**ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — კარლოს მოია (5, ესპანეთი) 6:7 (5:7), 6:2, 6:4**

**ლურჯი ჯგუფი**

**ენდი როდიკი (2, აშშ) — ტიმ ჰენმანი (8, ბრიტანეთი) 7:5, 7:6 (8:6); მარატ საფინი (4, რუსეთი) — გილერმო კორია (6, არგენტინა) 6:1, 6:4**

ლეიტონ ჰიუიტსა და კარლოს მოიას წინა საღამოს მატჩის გასრულება წვიმის გამო არ დასცალდათ. იმ მომენტისთვის ჰიუიტს ხუთი გეიმი ჰქონდა მოგებული... ჰიუიტს ხუთი გეიმი ჩოეგო, მოიას ოთხი და მეათეში ესპანელი 30:0 უპირატესობდა. კორტზე მობრუნებისას ოზბიჭი რაღაც მოყანგული ჩანდა, რითიც მოიამ ისარგებლა და პირველი სეტი ტაიბრეიკზე მიითვალა. თუმცა მერე და მერე ჰიუიტი ჩვეულებისამებრ აკისკასდა და ნატიფმა მალიორკელმა, ვისაც მთელი ბოლო თვეები მხრის ტრავმის გამო გაუცდა, მის აჩქარებულ ბზრიალს ჩოგანი ვეღარ აუბა.

მერე კი კორტზე ლურჯჯგუფელები გალაგდნენ. პირთამდე გადავსებული „უესტსაიდ ტენის კლაბი" გამორჩევით ელოდა მათიანი ენდი როდიკის გამოსვლას. ტეხასელმა ენდიბოიმაც ადგილობრივი მილეთი არ გააწბილა და 30 წლის ბრიტანელ ტიმ ჰენმანს — რომელთან თამაშიც მას არასდროს ეიოლებოდა — მეხუთე დაპირისპირებაში მეორედ აჯობა. როგორც ანგარიშზევე დაატყობდით, ცალკორტა გასეირნება არც ეს მატჩი იყო. როდიკმა მხოლოდ ერთხელ, პირველ სეტში შეძლო, მეტოქის მოწოდება გაეტეხა, მთელმა დანარჩენმა შეხვედრამ კი შეუპოვარ ხათქა-ხუთქში ჩაიარა და მეორე სეტი კუნძულელმა მხოლოდ ტაიბრეიკზე დათმო. ის ჩემს წინააღმდეგ ყოველთვის მაგრად თამაშობს, მაგრამ დღეს გადამწყვეტ ქულებზე მე უფრო ვივარგეო, იძახდა ნამატჩევს როდიკი. ჰენმანი კი მას კვერს უკრავდა და იმასაც დასძენდა, საკუთრივ მის სიჩაუქესთან ერთად ენდის დღეს მშობლიური კედლებიც ეხმარებოდნენო.

რაც შეეხება დღის მესამე შეხვედრას, აქ მარატ საფინს გილერმო კორიას შესამუსრად ერთი საათიც ეყო. მართალია, რუსს დაუჩივლია, ბოლო ორი თვის განმავლობაში ჭერქვეშ ბურთაობის შემდეგ ჭერგარე თამაში ძალიან მიჭირსო, მაგრამ მისი მრავალფეროვანი და უმოწყალო გარჯის შემხედვარე ამას ნაღდად არ იტყოდით. თუმცა ისიც სათქმელია, რომ გილერმო კორიას ივლისში მხარზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ამ ტურნირამდე ერთი მატჩიც არ ეთამაშა და, ცხადია, ფორმაში მყოფი რუსისთვის ტოლსწორად არც ჭერქვეშ გამოდგებოდა და არც ჭერგარეთ.

**ლევან კელაურაძე**


ენდი როდიკი




უმუშევრად დარჩენილი დევიდ კულჰარდი იქნებ „რედ ბულმა" მიიწვიოს

# წითელი ხარი რქებს ილესავს

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

**გაისად** ფორმულა I-ის ჩემპიონატში ისევ ათი გუნდი გამოვა, ოღონდ ერთი მათგანი ახალი სახელ-იერით იჯირითებს.

ორიოდე დღის წინ ავსტრიულმა კომპანია „რედ ბულმა" „იაგუარის" საჯინიბო მთელი თავისი პერსონალ-ტექნიკით იყიდა და, ბუნებრივია, პირმშოს თავისი სახელიც დაანათლა. „რედ ბულის" მფლობელი, ავსტრიელი მულტიმილიონერი დიტრიხ მატეშიცი უკვე შეუდგა საკადრო საკითხების მოგვარებას, თუმც 59 წლის ბოსი საჭიროდ არ თვლის მრბოლთა შერჩევისას აჩქარებას.

კანდიდატები არიან „იაგუარის" წლევანდელი პილოტი, ავსტრიელი კრისტიან კლიენი, რომელიც გუნდში სწორედ „რედ ბულის" სპონსორობით მოხვდა, ფორმულა 3000-ის ჩემპიონი, იტალიელი ვიტანტონიო ლიუცი, რომელიც 2004 წელს „რედ ბულ ჯუნიორში" გამოდიოდა, ამერიკელი სკოტ სპიდი და „მაკლარენიდან" წამოსული დევიდ კულჰარდი.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნიკი ლაუდას თქმით, მატეშიცის გუნდისთვის მომავალ სეზონში სწორედ რომ აუცილებელია კულჰარდის გამოცდილება და ოსტატობა.

მატეშიცი გუნდში სამუშაოდ იწვევს ექსმეფორმულეს, BMW-ს ყოფილ სპორტულ დირექტორს გერჰარდ ბერგერს, თავის თანამემამულესა და მეგობარს. „გერჰარდს უზარმაზარი გამოცდილება და კავშირები აქვს და თანაც არავისთვისაა საიდუმლო, რომ 2000 წელს ფორმულა I-ში BMW-ს წარმატებული დებიუტი მისი დამსახურებაა" — აქებს მეგობარს შეფი.

ჯერჯერობით „რედ ბულს" უხელმძღვანელებს იაგუარობისას საჯინიბოს აღმასრულებელი დირექტორი ტონი პარნელი.

**გია ახალაძე**

ფეხბურთი

# შევჩენკომ სტამბოლშიც ჩააბულბულა


REUTERS სტამბოლიდან

ანდრეი შევჩენკომ თურქებიც ორი გოლით „დაასაჩუქრა“

**რატომ** გააგდეს ნაკრებიდან ჰაკან შუქური? იმიტომ, რომ ტრაპზონში საქართველოსთან 1:1-ის შემდეგ „ბოსფორის ბულა“ აჯანყდა, თამაში ამ ქალაქში არ უნდა დაენიშნათო. მომდევნო მატჩი თურქებმა სტამბოლში გამართეს და ყაზახეთს იოლად 4:0 სძლიეს. გუშინაც სტამბოლში ითამაშეს თურქეთის დროშით შეიარაღებული 45 ათასი ქომაგის თანხლებით, მაგრამ რა? — 0:3 უკრაინასთან და რა თქმა უნდა, ორი გოლი ანდრეი შევჩენკოსგან. ოლეგ ბლოხინის გუნდმა ჯგუფში პირველი ადგილი შეინარჩუნა და მდევარს ხუთი ქულით დაუსხლტა.

ამაო გამოდგა ერსუნ იანალის მეცადინეობა: ხოჯა თურქებს არიგებდა, შევჩენკოს ბურთი არ უნდა მიალებინოთო, მაგრამ მილანელმა სერვეთ ჩეთინს მეჩვიდმეტე წუთზე ისეთი „აყლაპა“, რომ სერვეთი მწვრთნელმა მალე შეცვალა.

ანგარიში გუსევმა მე-9 წუთზე გახსნა — რუშთუს შორიდან გაუტანა. დაშოკილი თურქები გასათანაბრებლად მიაწყდნენ შოვკოვსკის კარს. თუმც კონტრიერიში გაეპარათ და შევჩენკომ სერვეთის გავლით რუშთუ მეორედ დაამწუხრა. დაცვაში კარგად მოთამაშე უკრაინის გახლეჩვა ოსმალოებმა ვერ შეძლეს. ჯერ თუნჯაის, შემდეგ ილდირაი ბაშთურქისა და ნეჩატის შესვლამ მასპინძლებს ვერ უშველა. მეორე გოლის შემდეგ ვორონინს შეეძლო გატანა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ტაიმის მიწურულს, როცა თურქები გააფთრებით უტევდნენ, ანდრეი შევჩენკომ მეტოქე კიდევ ერთხელ გამოიჭირა კონტრშეტევაზე და დამხვდურები საბოლოოდ დააჩოქა. ერსუნ იანალმა ნამატჩევს განაცხადა, უკრაინელებმა თამაშით გამაკვირვეს, მაგრამ ჩვენი წაგება მცველთა შეცდომების ბრალიაო. მარცხით შეურაცხყოფილმა ფანებმა კი ერსუნ იანალის გადადგომა მოითხოვეს.

ჯგუფის მეორე შეხვედრა ათენში გაიმართა, რომლის შედეგის გამოცნობაც ფეხბურთის მცოდნეებს არ გაუჭირდებოდათ. საბერძნეთმა ანგელოს ხარისტიასის დუბლისა და კოსტას კაცურანისის გოლის წყალობით ყაზახეთს აჯობა. სტუმრებმა ბალტიევის პენალტით იხეირეს და საბერძნეთიდან უგოლოდ არ გაბრუნებულან.

და ერთიც, ბერძენთა კაპიტანმა თეოდოროს ზაგორაკისმა გუშინ მეასედ ჩაიცვა ეროვნული გუნდის ლურჯი მაისურა. თანაგუნდელებმაც ზაგორაკისს იუბილეზე 3:1 გამარჯვება უძღვნეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დომენეკის სიმშრალე

**გუშინ** სასწაული მოხდა და სომხეთმა ზედიზედ მეხუთე მატჩი არ წააგო. ჩვენმა მეზობლებმა ჯგუფის ლიდერ რუმინეთს ქულა დასცინცლეს, თუმც უნდა ითქვას, რომ ანგელ იორდანესკუს ძირითადი შემადგენლობის ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა.

ბელგიის ნაკრების მწვრთნელმა, ემე ანტუნესმა კი სერბეთთან მარცხის შემდეგ თქვა, ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა და მალე ალბათ ჩემს სამუშაოსაც დავკარგავო.

საფრანგეთმა, რომელსაც რაიმონ დომენეკი თავკაცობს, მიჯრით მეოთხე უგოლო ფრე ითამაშა პარიზში. დომენეკს რობერ პირესი და მიკაელ სილვესტრი გაუწყრნენ, ნაკრებში აღარ გვეძახიო, მაგრამ მწვრთნელი თავის სიტყვას არ გადადის, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში უკვე მეოთხე მატჩი ვერ მოიგო. თუმც ამჯერად, პოლონეთთან შეხვედრა ამხანაგური იყო და დომენეკს ძალიან არ გააკრიტიკებენ.

750-ე საიუბილეო მატჩში გერმანიამ კამერუნს მოუგო. იურგენ კლინსმანმა თვისტომი ვინი შეფერი დაამარცხა, რომელიც ბუნდესნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი იყო, სანამ კლინსმანს ამერიკიდან ჩამოიყვანდნენ.

მარჩელო ლიპიმ ფინეთს მეორე შემადგენლობით მოუგო. ფაბრიციო მიკოლიმ პირველივე ტაიმში გაიტანა, ხოლო შოტლანდიას ახალ მწვრთნელ ტომი ბერნსითაც არაფერი ეშველა — შვედეთთან ედინბურგში განადგურდა.

ხოლო მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლუის არაგონესის ესპანეთმა ბილბაოელი ასიერ დელ ორნოს ადრეული გოლით სვენ-გორან ერიკსონის ინგლისს სძლია.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS ლაიფციგიდან

ყოჩაღ, კევინ! — იურგენ კლინსმანმა კევინ კურანი შეაქო

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

### თურქეთი 0:3 უკრაინა

0:1 გუსევი (9), 0:2, 0:3 შევჩენკო (17, 89)
თურქეთი: რუშთუ, თოლგა, სერვეთი (თუნჯაი 28), დენიზი, ოკანი, უმით ოზატი, ემრე, ჰუსეინი (ნეჩატი 66), კარადენიზი (ბაშთურქი 54), ნიჰათი, ფათიჰ ტეკე
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
უკრაინა: შოვკოვსკი, ფიოდოროვი, იეზერსკი, რუსოლი, ნესმაჩნი, ო. გუსევი, გუსინი, შელაევი, ვორობეი (დმიტრულინი 75), ა. შევჩენკო (ნაზარენკო 90), ვორონინი (რიკუნი 61)
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
გაფრთხილება: იეზერსკი (26)
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
45 000 მაყურებელი

### საბერძნეთი 3:1 ყაზახეთი

1:0, 2:0 ხარისტიასი (24, 45), 3:0 კაცურანისი (86), 3:1 ბალტიევი (87პ)
საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, დელასი, კაპსისი (კაცურანისი 60), ფისასი, ბასინასი, ზაგორაკისი (კაფესი 71), კარაგუნისი, ცარტასი (გეორგიადისი 72), ხარისტიასი, ვრიზასი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
ყაზახეთი: ნოვიკოვი, ლიაპკინი, დუბინსკი, სმაკოვი, ჩიჩულინი, კარპოვიჩი, ბალტიევი, ჟალმაგამბეტოვი (კამელოვი 68), ირისმეტოვი, ურაზბახტინი (როდიონოვი 53), ბულეშევი (მ. შევჩენკო 67)
მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი
გაფრთხილება: ირისმეტოვი (33), როდიონოვი (56)
მსაჯი: კოსტადინ კოსტადინოვი (ბულგარეთი)
33 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| დანია | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| თურქეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ალბანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | 6 |
| საბერძნეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ყაზახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | 0 |

V ტური: 9 თებერვალი, 2005

ალბანეთი — უკრაინა
საბერძნეთი — დანია

## ინგლისი

II ლიგა. გადადებული მატჩი

სუონსი 2:1 დარლინგტონი

## ირლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ლონგფორდი 1:1 უოტერფორდი

## ჩეხეთი

თასის პირველი ეტაპი

მოსტი 1:0 ბოლესლავი

## ამხანაგური მატჩები

აზერბაიჯანი 0:0 ბულგარეთი
სლოვაკეთი 0:0 სლოვენია
ალჟირი 1:2 სენეგალი
სამხრეთ აფრიკა 2:1 ნიგერია
იტალია 1:0 ფინეთი
გერმანია 3:0 კამერუნი
საფრანგეთი 0:0 პოლონეთი
შოტლანდია 1:4 შვედეთი
ესპანეთი 1:0 ინგლისი
მაროკო 4:0 ბურკინა ფასო

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

I ჯგუფი

სომხეთი 1:1 რუმინეთი
მაკედონია 0:2 ჩეხეთი
ანდორა 0:3 ჰოლანდია

III ჯგუფი

რუსეთი 4:0 ესტონეთი
ლიხტენშტაინი 1:3 ლატვია
ლუქსემბურგი 0:5 პორტუგალია

IV ჯგუფი

კვიპროსი 1:2 ისრაელი

VII ჯგუფი

ბელგია 0:2 სერბეთი
სან მარინო 0:1 ლიტვა

VIII ჯგუფი

მალტა 0:2 უნგრეთი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. VI ტური

I ჯგუფი

ყატარი 2:0 იორდანია
ირანი 7:0 ლაოსი

II ჯგუფი

უზბეკეთი 6:1 ტაივანი
ერაყი 4:1 პალესტინა

III ჯგუფი

ომანი 0:0 ინდოეთი
იაპონია 1:0 სინგაპური

IV ჯგუფი

ქუვეითი 6:1 მალაიზია
ჩინეთი 7:0 ჰონკონგი

V ჯგუფი

ტაილანდი 1:1 იემენი
საამიროები 1:0 ჩრდ. კორეა

VI ჯგუფი

სირია 0:1 ყირგიზეთი
ბაჰრეინი 4:0 ტაჯიკეთი

VII ჯგუფი

ლიბანი 0:0 ვიეტნამი
სამხ. კორეა 2:0 მალდივი

VIII ჯგუფი

ინდონეზია 3:1 თურქმენეთი
საუდის არაბეთი 3:0 შრი ლანკა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. V ტური

V ჯგუფი

კენია 2:1 გვინეა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა. XI ტური

ეკვადორი 1:0 ბრაზილია

*ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან დამთავრდა*

კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. 17 ნოემბერი

A ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 75:77 პროკომი
ეფესი 72:70 ციბონა

B ჯგუფი

სკავოლინი 62:80 ბარსელონა
სიენა 77:58 აეკ

C ჯგუფი

სკაილაინერსი 86:62 პო ორტეზი
უნიკახა 73:62 ულქერი
ცსკა 88:83 ტაუ

# ვორნები

REUTERS ბრისბენიდან



ბრისბენში ავსტრალიის რჩეული მოკრიკეტენი ვარჯიშობენ. პირველი სატესტო ტაფელობა ახალზელანდიელებთან ოზებს სწორედ ამ ქალაქში აქვთ. ავსტრალიური კრიკეტის ერთ-ერთ დიადს შეინ ვორნს ვარჯიშზე თავისი ხუთი წლის ვაჟი ჯეკსონი მოუყვანია. ფოტოს კვიცის გვარზე მხტომობა ეტყობა.

# ამტკიცებენ, ასეაო



ინგლისელ ფოტოგრაფებს აბა რას გამოაპარებ. გადაუღიათ უინ რუნის საცოლე კოლინ მაკლაფლინი და ამტკიცებენ, მუცელზე დააკვირდით ამ 18 წლის გოგოს, უეჭველად ფეხმძიმედააო. მოდი, და არცვიე...

# პარიზით

პარიზი მზადაა ბრძოლისთვის: 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობას ის მადრიდს, ნიუ იორკს, ლონდონსა და მოსკოვს შეეცილება. ამის შესახებ აცხადებენ საფრანგეთის სპორტის მინისტრი ჟან-ფრანსუა ლამური, იქაური ოლიმპიზმს მამა ანრი სერანდუ, პარიზის მერი ბერტრან დელანო და მძლეოსნობის ოლიმპიური ჩემპიონ გი დრუ.

REUTERS პარიზიდან




# გრეის თასი

REUTERS ოტავადან



გრეის თასი იმ კანადურ გუნდს გადაეცემა, რომელიც 21 ნოემბერს ბურთაობის დიდ შეჯიბრში იმარჯვებს: ან ტორონტოს „არგონავტებს", ან ბრიტანეთის კოლუმბიის „ლომებს". მანამდე თასი ოტავაში, პარლამენტშია გამოფენილი და დეპუტატებიც ათვალიერებენ.

# კეთილი ნების გარბენი

გრძელ მანძილებზე სირბილის მეფენი — ეთიოპიელი ჰაილე გაბრესელასიე და კენიელი მარათონელი პოლ ტაგარტი გაეროს კეთილი ნების ელჩები შექნილან და ნაირობიში მყოფნი აცხადებენ, რომ 27 ნოემბერს მიწისქვეშა ნაღმების წინააღმდეგ საგანგებო გარბენსაც მოაწყობენ.

REUTERS ნაირობიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge